

იოსებ ქართველის „ანგარიში თურქულად, წარდგენილთ
ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირისადმი¹
თარგმანი თურქულიდან“²

მირ ვეისისა და შაჰ ჰუსეინის ამბები
თალიკის ხელით 15 სტრიქონი გვერდზე³

აქა ამბავი ისტაჰანიდან ჩამოსული ვინმე სახელად ოუეფოსი, რომელიც რვა წელიწადს⁴ ისტაჰანში იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან თავისი დაკვირვებულობითა და ბეჭითობით ცოდნა შეიძინა, მეცნიერებას და განათლებას დაეუფლა.

1137 წელი⁵.

მე თქვემა მონა-მორჩილმა, წარმოშობით თბილისელმა, ყრობის წლებში ენის შესწავლის, ცოდნისა და განათლების მიღების მიზნით საფრანგეთში წასვლა განვიზრახე და გავემგზავრე. როდესაც ფრანგულ ენას დავეუფლე, ვენეციის გემში ჩავჯექი⁶ და ბედ-

¹ 1012, R (evan). 1487. სახამებლიანი ქალაღი. 235 მმ სიგრძე და 170 მმ სიგანე აქვს. 36 ფურცელია, თითო ფურცელზე ორი გვერდია. გვერდზე თალიკის მსხვილი, ხელით ნაწერი 95 მმ სიგრძის 15 სტრიქონია. დაწერილია 1137 წელს ჰიჯრით, ქრისტესით 1724—1725 წწ. ყავისფერი ტყავის ყდაში ძევეს. „მირ ვეისისა და შაჰ ჰუსეინის ამბები“ მოთავსებულია წიგნში: თოფაფის სასახლის მუზეუმის წიგნთსაცავი, თურქულ ხელნაწერთა კატალოგი. შემდგენელი ფეჰმი ედჰემ კარათაი. ტ. I, რელიგია, ისტორია, მეცნიერება. № 1—1985. სტამბოლი. 1961, გვ. 328.

Topkapi Saray Müzesi Kütüphanesi Türkçe Yazmalar Katalogu. Hazırlayan Fehmi Edhem Karatay. C. I. Din, Tarih, Bilimler, N° 1—1985. İstanbul, Topkapi Sarayı Müzesi, 1961. p. 328.

² უღრმეს მადლობას ვუძღვნი აკადემიკოს სერგი ჯიქიას, რომელმაც ჩვენი თხოვნით ეს თურქული ტექსტი გადაწერა, დაადგინა და ქართულად თარგმნა (ტექსტის დადგენაში მას დაეხმარა ისტ. მეუნ. კანდიდატი ცისანა აბულაძე).

ქართულ თარგმანში მოცემული სათაურები და აბზაცები ჩვენ გამოვყავით. ასევე, ქართულ თარგმანს კომენტარები ჩვენ დაურთეთ.

³ ეს ორი სტრიქონი დაწერილია ცალკე გვერდზე სხვა ხელით. ეტყობა, ეს სათაური იოსების „ანგარიშს“ სხვამ მისცა. სათაურის ზემოთ თურქეთის ბეჰედის დასმული.

⁴ სპარსეთში იოსები დაახლოებით 6 წელი იყო (1717 წლის ივლისი—1723 წლის მარტი), ხოლო ისტაჰანში—დაახლოებით 5 წელი (1718 წლის აგვისტო—1723 წლის მარტი). საიდან ანგარიშობს იოსები 8 წელს, გაუგებარია.

⁵ ქრისტესით—1724—1725 წწ.

⁶ იოსები საფრანგეთიდან ვენეციაში როგორ მოხვდა, ჩვენთვის ცნობილი არაა.

ნაერების ზღურბლისაკენ⁷ გავემგზავრე. იმ ხანებში იქ უზენაესი სულთნის კანცელარიის თარჯიმან იანაქ ბეგთან მოვეწყვე. როდესაც იგი ვარდენის ლაშქრობიდან დაბრუნდა, მას ვალახეთის ვოევოდობა ებოძა და რადგანაც იგი ვალახეთს გაემგზავრა, თქვენი მონა-მორჩილი მას გაეცილდი და იმ სამსახურს თავი დავანებე.

იმ დროს საფრანგეთის მეფის მიერ სახელად ბატონი დე გარდანი სპარსეთის შაჰ სულთან ჰუსეინთან ბალიოსის⁸ წოდებით ელჩად დაინიშნა. ის სტამბოლს ჩამოვიდა და მოისურვა თქვენი მონა-მორჩილის (აყვანა) და ხსენებულ ელჩთან თარჯიმნად მოვეწყვე. ელჩმაც ეს ამბავი ბედნიერების ბჭეს მოახსენა და აცნობა⁹. სპარსეთის საზღვრებში რომ ჩავიდა, რწმუნებულების შესახებ სათანადო ბრძანებებისა და საბუთების წარდგენის შემდეგ ჩავსხედით გემში¹⁰ და შავი ზღვით ტრაპიზონში ჩავედით. იქიდან—არზრუმში, ერევანში, ნახიქევანში, თავრიზში, ზინჯანში, სულთანიესა და ყაზვინში.

ეს მგზავრობა მოხდა იესო წინასწარმეტყველის დაბადებიდან 1717 წელს, რომელიც ემთხვევა ჰიჯრის წელთაღრიცხვის 1129 წელს. რადგანაც შაჰ ჰუსეინიც ისფაჰანიდან წამოსული იყო და იმ წელს ყაზვინში იმყოფებოდა, ინახულა იგი და იყო მასთან¹¹. აქ მოხდა ელჩობის შესახებ რწმუნების სიგელის გადაცემა¹².

ყ ა ზ ვ ი ნ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ შ ი ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი შ ა ჰ ი ს ჩ ა ს ვ ლ ი ს მ ი ზ ე ზ ი. მიზეზი არის ის, რომ ხორასნის მხარე, რომელიც სპარსეთის მხარედ ითვლება, არსებითად ჩვეულებრივი ვრცელი მხარეა, რომელიც სპარსეთის შაჰების მიერ დაპყრობილია და მათ მფლობელობაშია. ცენტრალური სახელმწიფოს ერთი ქალაქი—ეს ჰერათია და ერთიც, სადაც იმამ რეზას საფლავია, არის მეშხედტუსი.

⁷ იგულისხმება კონსტანტინოპოლი, პორტა.

⁸ ბალიოსი, ბაილი—მეფის ან სენიორის აგენტი, წარმომადგენელი, რწმუნებული. XII საუკუნიდან ბაილი იურიდიულ ფუნქციებს ასრულებდა. თურქები ბაილოსს უწოდებდნენ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს—ელჩებს ან კონსულებს, უფრო მეტად ვენეციის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება დე გარდანს, იგი იყო არა ელჩი, არამედ კონსული.

⁹ ეს ფაქტი მიუთითებს თურქეთის ხელისუფლებისადმი იოსების დამოუკიდებლობაზე.

¹⁰ სად წარადგინა დე გარდანმა რწმუნების საბუთები, სად ჩასხდნენ გემში? სპარსეთის საზღვრებთან?

¹¹ კონსული დე გარდანი შაჰს შეხვდა ყაზვინში არა 1717 წელს, არამედ 1718 წლის 26 მაისს.

¹² რწმუნების სიგელი დე გარდანმა შაჰს 1718 წლის 26 მაისს გადასცა.

აქა ამბავი ჰერათისა. ამ ორ დიდ ქალაქთაგან თითო-
ეული თავიანთი მიდამოებით სხვა ვილაიეთად ითვლება, ისინი
წარმოადგენენ სახანთახანოს, ე. ი. საბეგთაბეგოს, და იქ ვალის
თანამდებობაზე შაჰების მიერ საპატიო და სანდო ბეგი ინიშნება.
ასეა დაკავშირებული ჰერათის ვილაიეთის მოსახლეობა, ე. ი. ქვე-
შევრდომები, რომლებიც სპარსული¹³ და შიიტური სარწმუნოები-
სანი არიან. მათი ცხენოსანი და (ქვეთი) ჯარი მთლიანად სუნიტე-
ბი და აბდალ-ავღანელებად წოდებული ტომიდანაა, ენერგიულე-
ბი და სულთ ძლიერნი არიან.

იმ დროს სპარსეთის შაჰის მხრიდან ვალის თანამდებობაზე
მყოფი მეჰმედ ზამან ხანის ხელქვეითნი და ჯარი ყაჩაღები და მე-
ამბოხეები იყვნენ. სპარსელთა საქვეყნოდ აღიარებული საზიზლა-
რი ბუნებისა და დასაგმობი ჩვეულების მიხედვით, ისინი მოსახლე-
ობის ოჯახებს თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყე-
ნებდნენ. ამგვარი მათი საქციელი ვერ აიტანეს და იძულებულნი
გახდნენ აჯანყების ცეცხლი დაენთოთ და აღნიშნულ ტომში რჩე-
ული და სანდო ასადულაჰად წოდებული ვინმეც გამოჩნდა. ავღანე-
ლები შემოეკრიბნენ მას და სპარსელებსა და ავღანელებს შორის
ხოცვა-ჟლეტა შეიქმნა.

შემდგომ ამისა, ჰიჯრით 1129 წელს¹⁴ მეჰმედ ზამან ხანმა თავისი
1500-იანი ლაშქრით ავღანელთა თავდასხმას ველარ გაუტლო
და დაპარცხებული, განადგურებული გაიქცა და ისფაჰანში წავი-
და. ჰერათის ვილაიეთი სპარსელთა ტირანიისაგან განთავისუფლ-
და. ავღანელთა დიდებულების ერთსულოვნებითა და გაერთიანე-
ბით მმართველობა თავიანთ რჩეულს ასადულაჰს ჩააბარეს. ასა-
დულაჰი დამოუკიდებელი მმართველი გახდა.

აქა ამბავი მეშხედ-ტუსისა. სპარსელთა ჩვეულებ-
რივ მხარეთაგან, სეისტანის¹⁵ მხარე, ერთ-ერთი ვრცელი და გა-
ნიერი მხარეა და ყანდაჰარის სამხრეთ-დასავლეთის მომიჯნავეა.
სპარსეთის შაჰის ხაზით მისი მმართველი მელიქ მაჰმუდ ხანი იყო,
თუმცა შიიტური სარწმუნოებისა, მაგრამ მომიჯნავე ქვეყნის სიახ-
ლოვის გამო მირ ვეისზადეს¹⁶ მირ მაჰმუდთან თვალთმაქცობითი,
მაგრამ ცხოველი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. სეისტა-

¹³ სპარსული სარწმუნოება არ არსებობს. ალბათ, ლაჰარაკია სუნიტურ და
შიიტურ სარწმუნოებაზე. ავღანელები სუნიტები იყვნენ, სპარსელები—შიიტები.

¹⁴ ქრისტესით—1717 წელი.

¹⁵ ტექსტში ყველაგან წერია: სუჯისტანი. ასევე, იოსებ ქართველს წერს
„ასადულაჰს“ და არა „ესადულაჰს“.

¹⁶ მირ ვეისზადე—მირ ვეისის შვილი.

ნის ველებიდან ქირმანისა და ისფაჰანის დამორჩილებას მან ხელი არ შეუშალა და ამაზე თვალი დახუჭა.

შემდეგ, როცა მირ მაჰმუდმა ისფაჰანს ალყა შემოარტყა, სეისტანის ხსენებული ხანი დერკაფს მივიდა 8 ათასიანი ლაშქრით შაჰის დასახმარებლად და ქალაქგარეთ განლაგდა თავისი ჯარით. რაკი შაჰის უძლურება დაინახა, შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. მირ მაჰმუდი კი არ უშვებდა შემთხვევას, რომ ის წაეჭეზებინა მასთან ერთობისა და კავშირისაკენ.

ისფაჰანის აღებამდე თითქმის ერთი თვით ადრე ხსენებულმა მირმა თავისი თავკაცთაგანი — ნასრულაჰად წოდებული მთავარსარდალი ხანთან გაგზავნა, რადგანაც ხსენებული ნასრულაჰი სეისტანელი იყო წარმოშობით და ხანთან ერთსულოვნებით, ახლობლობით და მეგობრობით იყო დაკავშირებული. იმ პირობით, რომ მეშხედის დამოუკიდებელი ვილაიეთი სპარსეთის ქვეყანას ჩამოშორებოდა და ხსენებულ ხანს მიეღო. მათ შორის ამ პირობების, წესებისა და მტკიცე კავშირის მუხლების შემცველი ხელშეკრულება დაიწერა, ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დაიდო.

მირ მაჰმუდი უწინდელივით შეუდგა ქალაქისათვის ალყის შემორტყმას¹⁷. მეტიქ მაჰმუდმა კი სეისტანში დაბრუნებისაკენ ქნა პირი. სწრაფად მივიდა ქალაქთან¹⁸ და ალყა შემოარტყა მას. რადგანაც აღნიშნული ქალაქის მოსახლეობა შიიტები და რაფიზები¹⁹ იყვნენ, მათ დიდი ჯიუტობა და წინააღმდეგობა არ გამოუჩენიათ და მაჰმუდს ციხე ჩააბარეს. მან ასევე აიღო და დაიპყრო სხვა ადგილები. ის თვითონ გახდა მბრძანებელი, სპარსეთის შაჰის მორჩილებიდან გამოვიდა და პირი იბრუნა.

ჩვენს ელჩთან ერთად სამი თვე ყაზვინში რომ გავატარეთ, აქედან ისფაჰანს გავემგზავრეთ²⁰. შაჰ ჰუსეინმა ჩვენს ელჩს ქალაქ ისფაჰანში შესანიშნავი სასახლე უბოძა და ამ სასახლეში დავდექით²¹.

პერათის გასათავისუფლებლად და ასადულაჰის გასანადგურებლად ჯარის მომზადება.

¹⁷ იგულისხმება ქ. ისფაჰანი.

¹⁸ იგულისხმება ქ. მეშხედი.

¹⁹ შიიტური სარწმუნოების ერთ-ერთი სექტა.

²⁰ გამოდის, რომ ისანი ისფაჰანში 1718 წლის აგვისტოში ჩასულან.

²¹ როგორც ვხედავთ, იოსები არავითარ ქრონოლოგიას არ იცავს ამბების მოყოლაში. ახლა ის მალე 1717 წლის, ხოლო შემდეგ 1704—1709 წწ. ამბებს დაუბრუნდება.

ამასობაში შაჰ ჰუსეინი ყაზვინში გაჩერდა და 30 ათასიანი ლაშქარი მოამზადა, აღჭურვა, სეფი ყულად წოდებული ხანი სარდრად დაუნიშნა და ჰერათში ასადულაჰის წინააღმდეგ გაგზავნა. ასადულაჰმაც გაიგო და შეიტყო შაჰის მიერ უამრავი ჯარის მომზადების შესახებ და (მოემზადა): უზბეკთა სულთნების დახმარებით (?) და ბელუჯის სულთანმა 12 ათასიანი უზბეკთა (?) ლაშქარი მის დასახმარებლად გაგზავნა. ეს ჯარი რალაც შემთხვევითა და განგებით ერთ ადგილას წააწყდა სპარსელთა ჯარს. უყურადღებობისა და მოულოდნელობის გამო ყველა ისინი სპარსელთა ხელით სარწმუნოების გზაზე (?) დახოცილ და წამებულ იქნენ.

ყიზილბაშთა ტომი მეტად უმოწყალოა და გულქვა: შემთხვევა რომ მიეცემათ, დაჭერას და დატყვევებას არ დასჯერდებიან, ზოცვა-ჟღერა მათი ძველი და საზიზლარი ჩვეულებაა. ამრიგად, სეფი ყული ხანმა სიჩქარითა და სისწრაფით ჰერათს მიაღწია. ასადულაჰმაც გაიგო ეს და 13 თუ 15 ათასიანი აბდალან-ავლანთა ჯარით წინ აღუდგა სეფი ყული ხანს.

მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ყველას სალაპარაკოდ იქცა და ეს საშინელი ჭიდილი და ბრძოლა დაახლოებით 5 საათი გაგრძელდა. ბოლოს სეფი ყული ხანმა თავისი ზარბაზნები დაუშინა ავღანელებს და ინიციატივა მის ხელში რომ იყო (?). ასადულაჰის ჯარი მეორე მხრიდან (?). ე. ი. სპარსეთის ჯარი სწრაფად თავს დაესხა. გასროლილი ზარბაზნებისაგან მიყენებული ვნება, ღვთის განგებით, მთლიანად სპარსეთის ჯარს თავს დაატყდა. ჩამოვარდა დაბნეულობა და არეულობა.

სპარსეთის ჯარმა ეს შეცდომა ვერ გაიგო და ეს ფლიდობას და მათშივე მოღალატეთა გაჩენას მიაწერეს. სპარსეთის ჯარმა გაქცევა გადაწყვიტა. იგი დამარცხდა და განადგურდა. დახოცილ იქნა 8 ათასი ყიზილბაში, მოკლეს სეფი ყული ხანი, დაიღუპა 3 ათასი ავღანელი. სპარსელთა არსენალი და 20 ცალი ზარბაზანი ასადულაჰმა ხელში ჩაიგდო.

ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ს ე თ ი ა. მირ მაჰმუდი ქირმანშია, შაჰ ჰუსეინი ისევ ყაზვინში ცხოვრობს და ისვენებს. მირ მაჰმუდი ყანდაჰარში ჯარს ამზადებს. ყანდაჰარის ქვეყანა, რომელიც სპარსეთის ტრადიციულ მხარედ ითვლება, დასავლეთითა და სამხრეთით ოკეანეს ეკვრის²² და სეისტანის მომიჯნავე ქირმანის ქვეყანაზე ხელ-

²² ყანდაჰართან ახლოს არც ოკეანეა და არც ზღვა.

საყოფად გაემგზავრა, სეისტანის ველი გაიარა და ქირმანის მხარეს მიაღწა.

ყანდაპარის საზღვრების გასწვრივ ერთი ბელუჯად წოდებული ტომი ცხოვრობს. რადგანაც ისინიც ავღანების ტიპის არიან, ქირმანის ძარცვა-გლეჯაში ხსენებულ მირს გვერდში ამოუდგებიან. ქირმანის ქვეყნის მოსახლეობა შიიტი ყიზილბაში კერპთაყვანისმცემელია, ძალიან მდიდრებიც არიან. ბევრნი გაძარცვეს და დაარბიეს, ბევრი დაატყვევეს და დახოცეს. მათი ქვეყნის წესების მიხედვით, ქირმანად წოდებული ქალაქიც დაარბიეს. რადგანაც ციხის მოსახლეობა გაიქცა და ციხე ცარიელი იყო, დატოვა (აქაურობა) და ყანდაპარში დაბრუნდა²³.

ქირმანის ქვეყანაში სპარსეთის შაჰის მიერ დაყენებული მმართველი ვახტანგ ხანის²⁴ რაფიზობამიღებული უმცროსი ძმა²⁵, ამ ხანებში იქ მყოფი, სპარსელ მოლაშქრე-დამცველებთან ერთად გაიქცა და ისფაჰანში წავიდა²⁶.

ამ ამბების შემდეგ შაჰ ჰუსეინი ყაზვინიდან აიყარა და ქალაქ თეირანში ჩავიდა. ერთ ხანს იქ დარჩა. ქალაქი თეირანი ყაზვინის აღმოსავლეთით სამ გადასარბენზეა, ხორასნის გზაზე. მისი კლიმატი ყაზვინისაზე რამდენადმე უკეთესია, კეთილნაშენი ქალაქია.

სეფიანთა სახელმწიფოში ოსმალეთიდან ელჩობით გამოგზავნილი ბატონი დური თეირანში ჩავიდა და რწმუნების სიგელი ჩააბარა²⁷.

აქა ამბავი მასკატის იმამისა და ბაჰრეინის ვილაიეთისა. ბაჰრეინად წოდებული ქვეყანა ბასრის ქვეყნის ქვემოთ 5 გადასარბენის მანძილზეა. ბასრის ყურის დასავლეთ ნაპირას მდებარე კუნძულებს²⁸ რომ ეძახიან, იმ მხარის ერთერთი რაიონია. ნაპირთან ახლო ბაჰრეინად წოდებული ერთი კუნძულიც არის, რომელიც სინამდვილეში მარგალიტის საბადოების ადგილია და კუნძულის ცენტრში არის მაგარი ციხესიმაგრე. ხსენებულ ქვეყანას უკვე კარგა ხანია, რაც სპარსეთის შაჰები დაჰპატრონებიან და რადგანაც შაჰების ხელსა და მმართველობაში იმყოფება, იქ

²³ ალბათ, მირ მაჰმუდი.

²⁴ იგულისხმება ვახტანგ VI.

²⁵ იგულისხმება როსტომი.

²⁶ როდის „გაიქცა და წავიდა“; მირ მაჰმუდის იქ მისვლამდე, თუ შემდეგ?

²⁷ იოსების სიტყვებით რომ ვთქვათ: „ელჩობის ცერემონიალი შეასრულა“.

²⁸ „ჭეზირეთ-ალ-არაბ“.

არის შათ მიერ დანიშნული მმართველი სულთანი ანუ მირლივა²⁹. შემდეგ ისევ ბასრის ყურის დასავლეთ ნაპირას, ბაჰრეინის ქვემოთ, მასკატის იმამის (მხარეს) ეძახიან. ამ ქვეყნის ხალხი, აბაზად (?) წოდებული, სარწმუნოების მიხედვით არაბთა ტომის ერთ-ერთი ნაწილია.

აი ეს ბაჰრეინი დაიპყრო, სპარსელებს ხელიდან გამოგლიჯა და აილო³⁰, რადგანაც სპარსელები ბაჰრეინის კუნძულსა და მის ნაპირებზე მიმოსვლისათვის გემებს საჭიროებდნენ, ხოლო ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მათ გემები არ ჰქონდათ, ამ საქმის წარმართვა მათ არ შეეძლოთ და ამისათვის სხვისი დახმარება სჭირდებოდათ.

ვინაიდან სპარსელებსა და პორტუგალიელებს შორის მეგობრული ურთიერთობა იყო, და მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა ოკეანისა და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით გზა აღმოაჩინეს, ინდოეთისა და კუნძულების ბევრი ნავსადგური დაიპყრეს და დაიუფლეს, ამ მხარეში მათი მრავალი გემი იყო. ამდენად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ბაჰრეინის გამოსახსნელად პორტუგალიელებისათვის მიემართათ.

შაჰმა პორტუგალიელების დახმარება ითხოვა. ამ ტომის მამაცი ადამიანები ცხოვრობენ იქ, სადაც ინდოეთის მხარეა და სინდის მხარის მონაკვეთზე მდინარე ჰინდი ინდოეთში შედის (?), მასთან ახლოს მდებარე დივად წოდებულ კუნძულზე ფლოტილია აღჭურვეს და ბაჰრეინის განთავისუფლების მიზნით მათი ფლოტი ბასრის სრუტისაკენ მიემართება ხოლმე.

სპარსელებმაც უამრავი ჯარი მოამზადეს. ჯარები ბაჰრეინის პირდაპირ, სპარსეთის ქვეყნის ნავსადგურების ბენდიზქენქად და ბენდერბეგად წოდებულ ადგილებში, შეგროვდნენ. პორტუგალიის ფლოტი მოვიდა. როცა სპარსელები ელოდებოდნენ თავიანთი გემებით ბაჰრეინის კუნძულზე გადასვლას, პორტუგალიის ფლოტი მოვიდა და ბენდერბეგის წინ ლუზა ჩაუშვა. პორტუგალიის ფლოტის კაპიტანმა ამ სამსახურის შესასრულებლად და ამ სახითათო საქმის წამოსაწყებად სპარსეთის შაჰისაგან გარკვეული თანხა მოითხოვა. ამ უთანხმოების დროს (?) მასკატის იმამის ფლოტი გამოჩნდა და პორტუგალიის ფლოტს შეებრძოლა. ამას სპარსეთის ჯარი ნაპირიდან უყურებდა. დიდი ხნის განმავლობაში გამარჯვე-

²⁹ მირლივა—ადმინისტრაციული ერთეულის—ლივის უფროსი.

³⁰ ვინ აილო, არ ჩანს. საერთოდ ხელნაწერის ეს ადგილები მეტად ბუნდოვანია.

ბული და დამარცხებული მხარე არ იყო ცნობილი. პორტუგალიის გემები დაბრუნდნენ და დივას კუნძულზე მივიდნენ. შემდეგ ამ საქმის შესახებ პორტუგალიის ელჩი³¹ თეირანში შაჰთან მივიდა. იგი შაჰს ეახლა მაშინ, როცა დური ეფენდი ჯერ კიდევ იქ იყო. მაგრამ, რამდენადაც პორტუგალიის ელჩმა ამ სამსახურისათვის დიდი თანხა მოითხოვა, ვერ მორიგდნენ.

შემდეგ ბენდერ-აბასად წოდებულ ადგილას, მდიდარი და საპატიო ყიზილბაში მებაყე რომ იყო, მან მასკატის იმამს ორასრვა ქისა ფული მისცა და ბაჰრეინის განთავისუფლება იკისრა და ამრიგად იგი კვლავ სპარსეთის შაჰის მფლობელობაში დააბრუნა. შემდგომში მოვიდა ამბავი, რომ მირ მაჰმუდის მიერ ისტაჰანის აღების საბაბით მასკატის იმამმა ბაჰრეინი კვლავ დაიპყრო.

აქა ამბავი მირ ვეისისა, შაჰნავაზ ხანის გამარჯვება და მირ ვეისის მიერ ყანდაჰარის ქვეყნის აღება. ყანდაჰარი არსებითად ინდოსტანის შემადგენელია და ინდოეთის მეფეთა მფლობელობაში რომ იყო, ინდოეთის მმართველთა უყურადღებობის... მათ ცუდად ეპყრობოდნენ და ინდოელები ქვეყნის მოსახლეობას ძალმომრეობით ჩაგრავენ. ყანდაჰარის ქვეყანა კი ციხესიმაგრესავით ოთხი მხრით დიდი მთებით იყო გარშემორტყმული. გარდა იმისა, რომ მისი გზები და გზაჯვარედინები ყოველ მხრიდან ძნელად გასასვლელია, მისი მოსახლეობა კილიჩიან-ავღანელებად იწოდება და მეაბოხე ტომები არიან. მაგრამ მათ ველარ გაუძლეს ინდოელთა ულმობლობასა და ტირანიას და ვინაიდან იმ დროს სპარსეთის ქვეყანაში სახელი ჰქონდა განთქმული შაჰ აბასის ღონესა და ძლიერებას, ავღანთა თხოვნის შედეგად შაჰ აბასი ასი ათასი ყიზილბაშთა ჯარით ყანდაჰარისაკენ გაემართა. ინდოეთის მეფემაც ყანდაჰარის დასაცავად და შაჰ აბასთან შესახვედრად ზღვარსა და ანგარიშს გადაქარბებული ჯარი მოამზადა, თავისი უფლისწული სარდლად დანიშნა. სამჯერ შეხვედრისა და დიდი ბრძოლისა და ხოცვის შემდეგ, ბოლოს ავღანელთა დახმარებითა და შემწეობით შაჰ აბასმა გაიმარჯვა, ხოლო ინდოეთის ჯარი მთლინად დამარცხდა და განადგურდა.

ყანდაჰარი აბასის მპყრობელობასა და მფლობელობაში მოექცა და მან იქ ყანდაჰარის ბეგლარბეგი ანუ ვალი დანიშნა. ამ სამსახურისათვის (ავღანელებს) ბევრი სიკეთე და თავისუფლება მისცა და დაუახლოვდა, ხოლო თვითონ უკან დაბრუნდა.

³¹ ალბათ, პორტუგალიის კონსული.

დროთა განმავლობაში ყანდაპარში ვალის თანამდებობაზე მყოფმა ხანებმა ავლანელთა დამსახურებას ყურადღება არ მიაქციეს და მათ მართვა-გამგეობაში ტირანიისა და ჩაგვრის გზას დაადგნენ. ავლანები კი ხედავდნენ, რომ რაც დრო გადის, მრავლდებიან და მრავლდებიან. აბასის დროს რომ 50 ათასი კომლი იყვნენ, ახლა 70 (ათას) კომლს მიაღწიეს. ეს ტომი თურქმენების მსგავსად მომთაბარეობას ეწევა, იალაღებს ეტანება, აქვთ ქალაქები და სოფლები, ჰყავთ შეძლებული ვაჭრები.

24 წლის წინათ³² მირ ვეისის სახელით მათგან ერთი ვინმე გამოვიდა. მან მათ შორის სახელი გაითქვა როგორც გონიერმა და ფრიად მკერმეტყველმა. მან განიზრახა განდგომოდა და აჯანყებოდა სპარსეთის შაჰს. როდესაც ყანდაპარის ქვეყანას აჯანყების აღი მოედო, ამ შემზარავმა ამბავმა ჰუსეინ შაჰის ყურამღე მიაღწია.

ქართველი ხანის ვახტანგის ბიძა გიორგი ხანი რამდენიმე წლის წინათ რაფიზი გახდა და სახელად სპარსელთა ჩვეულების მიხედვით გიორგი შაჰნავაზ ხანი დაირქვა. ზემოხსენებული ქირმანის მხარე მას უბოძეს და ამ ქვეყანაში იგი ვალის თანამდებობაზე იყო. გიორგის მამაცობისა და გულადობის სახელი ჰქონდა. ას დაინიშნა სპარსეთის ჯარის სპასალარად, მასვე ებოძა საქართველო და (მისი ნათესავი) ვახტანგი თბილისში მის მოადგილედ დაინიშნა.

სეფიანთა კანონის მიხედვით გიორგის სარჩოდ ებოძა თავრიზი და ამასთან ერთად ყანდაპარიც, ხოლო იმ მხარეებში ატეხილი არეულობისა და აჯანყების ცეცხლის ჩაქრობა და დაწყნარება, ბოროტმოქმედთა დასჯა და მოთვინიერება ზემოხსენებულის გონებასა და მის ქმედობას მიანდვეს.

4 ათასი ქართველითა და 20 ათასი ყიზილბაშის ჯარით გიორგიმ ყანდაპარს მიაღწია. ხსენებული ხანი მრისხანე, მოძალადე და მჩაგვრელი იყო. ამ საბაბით ბევრი უდანაშაულო ავლანი დახოცა და მათ ქონებას დაეუფლა. ქართველები დავაწყნარე, ამ გზით ქვეყანა დავიმორჩილე და დავიპყარიო, იფიქრა მან და თვითონ ნდობა ჩაესახა. ქართველთა ჯარი თავისთან გააჩერა და ყიზილბაშთა ჯარი უკანვე გაგზავნა. მირ ვეისი დაიპირა, მავრად შეკოჭა და შაჰ ჰუსეინს გაუგზავნა, ყანდაპართან ახლოს ატეხილი ჯანყის მომ-

³² როდის ხდება აქ აღწერილი ამბები, იოსებს აღნიშნული არა აქვს და ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ როდის იყო ეს „24 წლის წინათ“.

ხდენი და უშუალო მიზეზი მირ ვეისიაო—მოახსენა და მის მოსას-
პობად და მოსაკლავად თავი გამოიღო. ამრიგად, ხსენებული მირი
რსფაპანში საპარტიმროში მოათავსეს.

მირ ვეისის განთავისუფლება და გიორგი
შაჰნავაზ ხანის მოკვლა ყანდაპარში. როდესაც გი-
ორგი შაჰნავაზ ხანს ამ საბაბით წოდება ჩამოერთვა (?) და მას სპარ-
სეთის სპასალარის სახელმწიფო წოდება მიეცა და უცოდინარო-
ბის, ხასიათის, ბუნების, სისაწყლისა და სიმდაბლის... გამო ბო-
ლოს ტვინი აერია და განდიდებისა და ამპარტავნობის სურვილებ-
ში ჩაითრია. სეფიანთა სახელმწიფოს თავკაცებს ქედმაღლურად
ეპყრობოდა, ბოროტ ცხოვრებას ეწეოდა და სახელი გაუტყდა. მო-
ჩადოების სიბრძნემ თვალთმაქცობის გზას დააყენა და მის ტვინში
დაფუძნებული ჯანყისა და არეულობის დამალვა და მასში არსე-
ბული აჯანყების გრძნობა ვერ დაფარა და ვერ დამალა. სპარსეთის
ზოგიერთი თავკაცის გალანძღვისა და შეურაცხყოფის ფაქტმა ისი-
ნო. მას გადაამტერა. ბოროტმოქმედების გამო ისეთ დონეს მიაღ-
წია, რომ სპარსეთის შაჰის მიმართ აჯანყებულ და ამხედრებულ
მირ ვეისსაც გადააქარბა. შეიძლება შაჰნავაზ ხანი თვითონაა... შა-
ჰისადმი მორჩილებისაგან პირი რომ იბრუნა — ბოროტმოქმედე-
ბის მტკიცე საბუთია. მაშინვე — ცდა ხელსაყრელი შემთხვევააო
და ასე გააკეთა და დააჭერა (?)³³.

შემდეგ, სეფიანთა სახელმწიფოს თავკაცთაგანი ფათ ალი ხა-
ნი, ლეკური წარმოშობისა, ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს მა-
მასთან ერთად დალისტნიდან ტყვედ წამოყვანილი, შაჰის კარზე
(მოიყვანეს და იქ) აღიზარდა. მან აღზრდა-განათლება შაჰის ზედა-
მხედველობით მიიღო. გონიერი, სრულყოფილი და მტკიცე აზ-
როვნების პატრონი, შორსმჭვრეტელი და ქვეყნის კეთილისმდო-
მი³⁴. იმ ხანებში შაჰის ნადირობის უფროსი იყო, ე. ი. ნადირობის
აღა იყო; იგი მაღალი რანგის მქონე და შაჰის მიერ ნაცადი და სან-
დო იყო. ამის გამო იგი ყულარალასის³⁵ თანამდებობაზე დანიშნეს.

³³ არც გიორგისა და არც ქართველების ასეთი დახასიათება იმ დროს არც
ერთ ავტორს არა აქვს. გიორგი და მასთან მყოფი ქართველები, საერთოდ სპარ-
სეთში და კერძოდ, ყანდაპარში ბედის უკუღმართობით მოხედნენ. გიორგის
არც დროის ტარება და არც ქონება ინტერესებდა. მას ყველაზე უფრო თავის
ქვეყნის ბედი აწუხებდა.

³⁴ ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფათ ალი ხანი ეთემად აღ-
დოულეს თანამდებობაზე ყოფნის დროს პირად გამდიდრებაზე უფრო ფიქრობდა,
ვიღრე ქვეყნის საქმეებზე.

³⁵ ყულარალასი—შაჰის გვარდიის უფროსი სეფიანთა სპარსეთში.

მოკლე ხანში მან საფეხურებს გადააბიჯა. ყურჯუ ბაში³⁶ ეთემად აღ-დოულეს თანამდებობაზე რომ უნდა დანიშნულიყო, შაჰის სიმ-პათია და სურვილი ფათ ალი ხანისაკენ იყო და ამიტომ იგი ეთე-მად აღ-დოულედ დანიშნა.

რთულ სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტა და სახელმწიფოს რთულ საქმეთა მართვა-გამგეობა დაეკისრა მის გონებასა და საქ-მიანობას. ფათ ალი ხანი კი შაჰნავაზ გიორგი ხანის დაუძინებელი მტერი და მისთვის ბოროტებისა და სიავის მდომი იყო³⁷.

როდესაც შაჰნავაზ ხანს ბრალი დასდეს იმაში, რომ მას უნ-დოდა აჯანყება მოეწყო შაჰის წინააღმდეგ³⁸, ფათ ალი ხანმა ეს შემთხვევა მეტად ხელსაყრელად ჩათვალა და მის ჩამოგდებასთან ერთად მისი დალუპვისა და განადგურებისათვის მთელი თავისი ძალღონე გამოიყენა. ასევე, შაჰის მინისტრი, ყიზლარ აღასი³⁹ იმ დროს მინისტრად და ქუთხულად⁴⁰ იყო. ისიც შაჰთან დაახლოე-ბული, სანდო და თანამდებობის თვალსაზრისით გავლენიანი სა-ხელმწიფო თავკაცთაგანი, შაჰნავაზ ხანზე გადამტერებული და მის-დამი ღვარძლით სავსე იყო; მის მოსპობასა და მოკვლაში მკლავწაკა-ბიწებული მოქმედებდა.

მირ ვეისი კი რადგანაც წარმოშობით... ავღანელი... აჯანყე-ბისა და არეულობის მოხდენაში ექვემდებარებული იყო და ამ ბრალ-დებით ახლაც საპატიმროს ჯურღმულეებში იყო მკვნესარე და მოქ-ვითინე⁴¹. მაგრამ უზრუნველი, არამკაფიო (?), უმეტყველო და მეცნიერებაში არასრულყოფილი, მომხდარ ვითარებისადმი უყუ-რადღებო, შემდეგ დაუკავშირდა (?) და თავისთავის გადასარჩე-ნად ნებისმიერი გზები მოძებნა⁴². შაჰნავაზს... ამ საქმის შესასრუ-ლებლად და განასახორციელებლად ჰყავდა თავისი ტომი და ხალ-ხი. (მან) ავღანელი მდიდრების დახმარებითა და შემწეობით 20

³⁶ ყორჯუბაში—ყორჩიბაში, ყორჩიების ანუ მეომრების უფროსი.

³⁷ იოსებ ქართველი არსად არ ამბობს (ან არ იცის, ან არ უნდა თქვას), თუ რით იყო გამოწვეული შაჰის კარზე მოკალათებულ ანტიქართული ჯგუფის წევ-რთა ბრძოლა გიორგისა და სხვა გამოჩენილი ქართველების წინააღმდეგ.

³⁸ ვინ დასდო ამაში ბრალი გიორგის? ამაზე რატომ ღუშს იოსები?

³⁹ ყიზლარაღასი—ყულარაღასი.

⁴⁰ ქუთხული—ქუთხულა, მამასახლისი.

⁴¹ ცნობილია, რომ დიდძალი ფულის დახარჯვისა და მდიდარი საჩუქრების დარიგების შედეგად, მირ ვეისი შესანიშნავად გრძნობდა თავს ის ფაჰანში.

⁴² მირ ვეისი სხვებს კი არ დაუკავშირდა, არამედ გიორგის წინააღმდეგ ყვე-ლა მოქმედების წამომწყები თვითონ იყო.

ათასამდე ძვირფასიანი შალეული...⁴³ და ბევრი ნაღდი ფული და-
ხარჯა.

ერთი სიტყვით, მცდელობამ და მზრუნველობამ ეს (საქმე) ასე
დაამთავრა. შაჰნავაზ ხანის ჯანყი და მუხანათობა შაჰის გულში
ცნობილი იყო⁴⁴ და მას ადგილი ჰქონდა⁴⁵. შაჰი სრულიად ენდო-
ბოდა, დაჯერებული და დარწმუნებული იყო იმაში, რომ მირ ვეი-
სი არის შაჰის ერთგული მონა. ხსენებული მირი საპატიმროდან
გაათავისუფლა და კეთილმოპყრობითა და მოფერებით მის ნამ-
დვილ სამშობლოში, ყანდაპარში, გაგზავნა. (მირ ვეისისადმი) კარ-
გად მოპყრობისა და მოფერების შესახებ შაჰნავაზის მისამართით
ბრძანებები და წერილები გაგზავნეს.

(ამავე დროს) გარდუვალად იყო მიჩნეული შაჰნავაზის მოკვ-
ლა და დაღუპვა. ამ საქმის დაჩქარება და შაჰნავაზზე მეთვალყუ-
რეობა საიდუმლოდ და მალულად მირ ვეისს მიანდეს. ხსენებული
მირიც ყანდაპარში ჩავიდა, შაჰნავაზ ხანს კეთილი მოპყრობის,
სრული თავაზიანობისა და მშვიდობის ჩვენებით თვალთმაქცურად,
ხალისით მოექცა. დიდი მეგობრობითა და ერთსულოვნებით შეხვ-
დნენ (?). ვინც ეს შეხვედრა ნახა, შთამომავლობით შთამომავლო-
ბამდე ეს დავიწყებას მისცეს (?).

ეგონათ, რომ ხსენებული მირი თავის ბოროტ განზრახვას და
ღვარძლს ფარულად ინახავდა, შეიძლება ითქვას, რომ სულ არ-
არსებულის დონემდე რომ მალავდა, უცბად მის მხარეზე ხელ-
საყრელმა ქარმა დაქროლა. ავღანელთა თალალის მთის მწვერ-
ვალზე მოსახლე ერთმა ტომმა შაჰისათვის ხარაჯას გადახდაში ჯი-
უტობა და წინააღმდეგობა გასწია და ყანდაპარის ვალს შაჰნა-
ვაზ ხანს საჩივარზე საჩივარი მოუვიდა⁴⁶. მოსალაპარაკებლად
ხსენებული მირი მოითხოვეს. მან გაიგო თუ არა ეს ამბავი, ერთ-
გულებისა და გულკეთილობის გამოსაჩენად რისხვა გამოავლინა,
მოითხოვა წინააღმდეგობის გამწევთა დასჯა მათი მთლიანად და-
ზოცვითა და მათი ავლა-დიდების დარბევით და ჩამორთმევით. მაგ-
რამ ეს (დასჯა) უნდა იყოს ჯილდოს ღირსი და სხვათათვის მაგა-
ლითის მიმცემი — ასე თქვა მან.

⁴³ იგულისხმება ავღანური შარფები, რომლებიც საჩუქრის სახით დაარიგა
მირ ვეისმა.

⁴⁴ შაჰს ეს მირ ვეისმა ჩაუნერგა.

⁴⁵ ასეთ რამეს ადგილი სინამდვილეში არ ჰქონია.

⁴⁶ ამბობენ, რომ ეს წინდაწინ იყო ჩაფიქრებული მირ ვეისის მიერ, მან ათ-
ქმეინა ამ ტომს უარი გადასახადის გადახდაზე, რათა ამ გზით მოეშორებინა ყან-
დაპარის ციხესიმაგრედან ქართველთა ლაშქარი.

ეს იყო ფარული წაქეზება, რათა ქართველთა ჯარი ამ საქმის შესასრულებლად გაეგზავნა, და მონდომებით აამოქმედა (ყველაფერი). საწყალმა ხანმა ვერ გაითვალისწინა, რომ მის გულში მოგროვილ დარდსა და ცდუნებას შესაძლებლობა ექნებოდათ გამოღვრილიყო შფოთსა და მახის დაგებაში, სიბინძურეში და შაჰისათვის ხარაჯის გადაუხდელობაში დამნაშავე ავლანთა დასასჯელად მასთან მყოფი ქართველთა ჯარი მთებს გაუყენა. არ იცოდა, რომ მან თავი ხრამის მორევში გადააგდო. დადგა უკვე დრო ხსენებული ხანის მიზანდასახულობის შესრულებისა — მასთან მყოფი ჯარის გამგზავრებისა.

ხ ა ნ ი ს ა დ მ ი ხ ა ლ ა ს ი ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა და გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა.

შეიძლება ხანის საპატივეცემლოდ მონანიების გაჩენამ იპოვოს გზა და ამ საპატიო შესაძლებლობიდან დაადგეს დაცვისა და გამაგრების გზას. მან თქვა⁴⁷: ამას წინათ ავლანთა თავკაცთაგან ორი კაცი, რომელნიც მოწმე იყვნენ იმისა, რომ ორი მეომარი აჯანყებაში მონაწილეობდა, მათ მოინანიეს, აღიარეს თავიანთი დანაშაული ღანთან, რომლის ფეხის მტვერნი ისინი იყვნენ: მოვიდნენ ბოდის მოსახდელად, ხვეწნა-მუდარით ითხოვეს წყალობა და შეწყნარება პატიებისათვის. უკეთუ ისინი ცნობილი იქნებიან ღირსად მათი დანაშაულის მიტევებისა, ჩვენ დავუდგებით მათ მტკიცე მოწმედ და ჩვენს თავზე ავიღებთ თავდებობას, რომ ისინი ზურგმაგარნი და მტკიცე იქნებიან.

ახლა მიზანშეწონილი ის იქნება, რომ ხვალინდელ დღეს ყანდაპარის ციხესიმაგრიდან საათნახევრის (მგზავრობის) ადგილზე მდებარე თქვენი მონა-მორჩილის მამულში მობრძანდეთ და ჩვენი მწირი სახლი აამალლოთ ბედნიერების მომტანი თქვენი მობრძანებით და ერთი წუთით ჩვენი სტუმარი იყავით. თქვენი ამ მობრძანებით სიკეთე გამიკეთეთ, რათა თქვენი მწირი გამოჩენილი გავხდეთ ჩემს ტოლებში; ხალხსა და ტომში ვიყო აღმატებული ის ორი თქვენი მონა ბეგიც შესანიშნავი საჩუქრებით მოვა, რათა თქვენს ფეხთა მტვერს ემთხვიონ და კეთილი სიტყვებითა და მკერმეტყველებით ისევ დაიახლოვებენ შაჰნავაზ ხანს. ცდუნებაზე და ფლილობაზე თქვენ სრულებით არ იფიქროთ, ნადიმისათვის რაც კი საჭიროა, მზად არის.

⁴⁷ ვინ თქვა? ალბათ, მირ ვეისმა.

მეორე დღეს მირის ამაღა და დამსწრე ოფიცრები⁴⁸ მირის მამულში წაეიდნენ და ესტუმრნენ. მაშინვე ის ორი მეამბოხე ავლანელი ბეგი მოვიდა. ხანს ფეხებში ჩაუვარდნენ და ბოდნიში მოიხადეს. უთავაზეს მას შესანიშნავი საჩუქრები. ერთი მხრიდან ბევრი საყვედურისა, ხოლო მეორე მხრიდან ხვეწნისა და მუდარის შემდეგ მათ თავიანთი დანაშაული ეპატიათ. მომარაგდა და მომზადდა ყველაფერი სმა-ჭამისა და ლხინისათვის. უთანხმოების დედაა ქალიშვილი⁴⁹, სუფრის ლამაზმანი; საქმე წარიმართა ისლამური წეს-ჩვეულების უგულვებელყოფით და გააჩაღეს ზეიმი. ქართული წესით დაიწყეს სმა-ჭამა. ერთი სიტყვით, სტუმრის მიმღები მასპინძელი, ხსენებული მირი, თავის სტუმარს — ხანს, იმ დონემდე გაუმასპინძლდა, რომ ხანი და მისი ხელქვეითები ძალიან დათვრნენ.

ზაფხულის დღეები იყო⁵⁰, მზეს დიდი მხურვალეობა ჰქონდა, ამიტომ წითელი ლალის მსგავსი ფერის ღვინის ორთქლმა მათ ტვინი აურიდა და სიცხის ძლიერება გარედანაც და შიგნიდანაც მოედო და ყველას ეცა. მოისურვეს თავრიზი და თბილისი (?). უგონო ძილი არ იქნება მათთვის საკმარისი იმისათვის, რომ დარდსა და უბედურებას მათ თავი დააღწიონ. იფიქრეს და ბუნებრივი ძილით დასვენება მოითხოვეს. ხსენებულმა ხანმა მაშინვე გაიხადა და თავის კარავში უმაღლ ძილს მისცა თავი, ხოლო სხვები ავლანელმა ხელქვეითებმა და ოფიცრებმა დიდებითა და პატივით თავთავიანთ კარვებში მიიწვიეს და ჩამოარიგეს. თითოეული პიროვნება მთვრალი, უგონო შევიდა კარავში, უშიშრად და უზრუნველად გაიხადა ტანისამოსი და მკვდრისებურ ძილს მიეცა.

მირ ვეისმა კი, რაც გულში ჰქონდა ჩაფიქრებული, იმის შესასრულებლად არაფერი დააკლო. საკმაო რაოდენობის შეიარაღებული კაცები მოამზადა, ხელსაყრელი შემთხვევა სიმდიდრეაო. იგი მალულობიდან, არარსებობიდან გამოჩნდა და ფარდის უკანა მხრიდან გამოვიდა. სისწრაფითა და სიჩქარით სისხლისმღვრელი ხმლით ხანი და მისი ხელქვეითები თავიდან ბოლომდე ხმლით აკუწეს. ხანის კარავში სწრაფად შევარდნისას, 7 თუ 8 მსახური (ხალხს) რომ ხოცავდა, ხსენებულმა ხანმა უგონო ძილიდან

⁴⁸ აქ, ალბათ, გიორგისა და მის 50 თანმხლებ პირზეა ლაპარაკი.

⁴⁹ აქ იგულისხმება მირ ვეისის ქალიშვილი, მაგრამ იგი აქ არ ყოფილა.

⁵⁰ მართალია, ყანდაქარში ყოველთვის ცხელა, მაგრამ საკიხთის სიზუსტისათვის შევნიშნათ: ეს ამბავი მოხდა აპრილის თვეში.

რომ გამოიღვიძა და რომ გაიგო, თუ რა დღე დაადგა, რას გააწყობდა ბასრას ომის შემდეგ! უმალ ხანმაც ხმალი აიღო და რვა მოწინააღმდეგე მოკლა, მაგრამ ბოლოს, ისიც მოკლა ავლანელმა.

ლონისძიებანი ყიზილბაშთა ნარჩენების ხელიდან ყანდაპაროს ციხის განთავისუფლები-სათვის. როდესაც ხანის ხელქვეითთაგან ერთი კაციც ვერ ეღირსა გადარჩენას, აღარავინ იყო ისეთი, რომელსაც ციხესიმაგრეში დარჩენილ ყიზილბაშთათვის ეცნობებინა ვითარება და მომხდარი ამბავი. ეს მხარე ჯერ კიდევ გაოგნებული იყო და ყველა მათგანის გონებისა და წარმოდგენისათვის მიუწვდომელი იყო ასეთი უცნაური ამბის მოხდენის შესაძლებლობა. ავლანები კი ციხესიმაგრის ცბიერებით დაპყრობაში არ შეყოვნებულან. მირ ვეისმა მაშინვე ტანსაცმელი გამოიცვალა. თავიდან ბოლომდე შაჰნავაზ ხანის ტანსაცმელით შეიმოსა. სხვა ავლანელებიც დახოცილი ოფიცრებისა და ხელქვეითების ტანსამოსით შეიმოსნენ. ხანის წესისა და რიგის მიხედვით მწყობრად დაეწყვნენ და სალამო უამს ციხესიმაგრისაკენ გაემართნენ. რადგანაც ეს საშინელი საქმე მის სულიერ არსებას ეწინააღმდეგებოდა (?), თუმცა ეს დაფარული...

ყანდაპარის ციხესიმაგრის მიდამოებში ერთი დიდი მდინარე იყო. როგორც ციხესიმაგრე, ისე მის გარეთ მდებარე ქალაქი გალავნით იყო შემორტყმული და ხსენებული მდინარე მის შუა ადგილას გადიოდა და რადგანაც ნავეებით ქალაქში შესვლა და გამოსვლა ადვილი იყო, რამდენიმე დღის წინ ავლანელთაგან ციხესიმაგრესა და ქალაქში უამრავი ვინმე ფარულად და მალულად შევიდა. მათ (დაზვერვითი) დათვალიერების საშუალება მიეცათ.

შემდეგ, ხსენებული მირი ყანდაპარის ხანის წესითა და რიგით და თავისი რაზმით მზის ჩასვლიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ციხესიმაგრის ახლო მივიდა. ციხის მცველებმა და მეკარეებმა იფიქრეს, რომ მათი ხანი მოვიდა და ისწრაფეს ფარნებითა და მაშხალებით შეხვედრა. ავლანებმა კი შესახვედრად სწრაფად წამოსულები უცბად და ჩქარად დაიჭირეს და მაშინვე დახოცეს. ხმა არ ამოუღიათ, ისე ფარნები და მაშხალები ავლანებს ხელში მისცეს. როდესაც მეციხოვნეები მათი ხანის მოსვლას უცდიდნენ, ციხის კარები მთლიანად ღია იყო და დაუბრკოლებლივ შევიდნენ, ყიზილბაშთა თავკაცებს ხმლები აძგერეს და ამოწყვიტეს. ყანდაპარის ციხე დაიპყრეს. ციხის გარშემო და ქალაქში მაცნეებმა მოუწოდეს (ხალხს) და გააფრთხილეს: იმ ღამეს დილა მდე ყველას სასტიკად აუკრძალეს სახლიდან გამოსვლა.

მეორე დღეს სოფლის რჩეულნი და მოსახლეობა მოვიდნენ. ჟინაიდან ისინიც ავლანელები იყვნენ, მოსვლა, წმინდა ომი და ლაშქრობა მოულოცეს. მათ პირობა და ფიცი დადეს, რომ მთელ თავიანთ შესაძლებლობასა და სიცოცხლეს არ დაიშურებენ და შესწირავენ ყიზილბაშთა უზურპაციისაგან განთავისუფლებას. მირ ვეისი მათ ცნეს თავიანთ კეთილისმყოფელად, ბედნიერების მომნიჭებლად და მფარველად. მთლიანად დაემორჩილნენ მას. მისი მართვა-გამგეობა მიიღეს და მას მიეკედლნენ.

ავლანთა დასასჯელად ფათქანიდან ქართველთა დაბრუნება. უმაღლეს, მეორე დღეს, მოვიდა ქართველთა ჯარი⁵¹, რომელიც იმ ავლანელ ტომთა დასასჯელად მიდიოდა, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ შაჰისათვის ხარაჯის გადახდას. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, ციხიდან მათ ზარბაზნები რომ დაუშინეს, მიხვდნენ, თუ რა ვითარება იყო და პირი გასაქცევად იბრუნეს, ბრძოლაც გამართეს, გადარჩნენ, გაიქცნენ და საქართველოში წავიდნენ⁵².

შაჰ ჰუსეინის ყანდაპარისაკენ გამგზავრება. ამ დროს შაჰ ჰუსეინი თეირანიდან ადგა და ისფაჰანს გაემგზავრა. მას სურვილი გაეღვიძა, შური ეძია ავლანებზე და განიზრახა ეს საქმე თვითონ წამოეწყო. მოამზადა უამრავი ჯარი და საომარი მასალა და მეშხედის გზით ყანდაპარისაკენ გაემართა. მივიდა ქალაქში და მის მიდამოებში კარვები გაშალა. ავლანელებმა გაიგეს ეს ამბავი და სინანულში ჩავარდნენ. შეეშინდათ, თელაღის მთაში გაიქცნენ, ციხესიმაგრეს თავი შეაფარეს. მირ ვეისმა კი ციხეში რამდენიმე მცველი დააყენა და მთებს შეაფარა თავი. ღვთის განგებით, შაჰ ჰუსეინის გული შიშმა მოიცვა. ის რეზა იმამის ნახვით დაკმაყოფილდა და მეშხედიდან დაბრუნდა. ასეთი ქცევით შაჰ ჰუსეინმა თავის გულში დიდი სისუსტე გამოამჟღავნა, ხოლო ავლანთა გული ძლიერ გაამაგრა⁵³.

ხოსროვ ხანის ლაშქრობა ყანდაპარში და მისი დამარცხება. შაჰნავაზ ხანის ძმის შვილი ქართველ-

⁵¹ სხვა ცნობებით, მესამე დღეს გამოჩნდნენ ქართველები.

⁵² ქართველთა „გაქცევაზე“ არაფერს არ წერს. პირიქით, წერენ ქართველთა ნაწილების გამორულ ბრძოლებზე. თუმცა, მირ ვეისს ორჯერ და სამჯერ მეტი ძალები ჰყავდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ზიანი მაინც მათ ვერ მიაყენა. მათ ბრძოლით მიაღწიეს ზეზილის უღელტეხილს, ხოლო იქიდან გზა ხსნილი ჰქონდათ სამშობლოსაკენ.

⁵³ ფიქრობენ, რომ შაჰის ეს მგზავრობა ყანდაპარში გიორგის ჩასვლამდე მოხდა.

თავან... რაფიზობა მიიღო. მას სახელად ხოსროვ ხანს უწოდებდნენ. სალაშქროდ შაჰ ჰუსეინის გამგზავრების დროს იგი ისფაჰანში კაიმაკამად⁵⁴ დაინიშნა. როდესაც შაჰი დაბრუნდა, ყანდაჰარში მოკლული ბიძამისის — შაჰნავაზ ხანისათვის შურისძიება ხოსროვ ხანს მიანდო. იგი მთავარსარდლად დანიშნა, 40 ათასიანი ყიზილბაშთა ჯარი გადასცა⁵⁵ და ყანდაჰარს გაგზავნა. იგი იქ ჩავიდა და ალყა შემოარტყა. მირ ვეისმა ციხეში დაცვა ჩააყენა და ჯარის მომზადების მიზნით მთებზე ავიდა. რამდენიმე დღის ალყის შემდეგ თავისი ჯარით მოვიდა და ყანდაჰარის გარშემო არ დატოვა სოფელი, ქალაქი, ყანა, საძოვარი და... ყველაფერი ცეცხლს მისცა და ააოხრა. სპარსელთა ჯარი შიმშილმა მოიცივა და გაქცევა დაიწყო.

ცოტა ხანში ჯარის მესამედი დაიფანტა და მხოლოდ მესამედი დარჩა. ამათაც შიმშილსა და (გაჭირვებას) ვერ გაუძლეს. ბოლოს, ხოსროვ ხანი ორასი ქართველი ჯარისკაცით მოედანზე დარჩა. ავღანები მათ დაესხნენ და თავში კომბლები ჩაართყეს და დახოცეს⁵⁶. ამის შემდეგ, რამდენიც არ მოისურვეს (სპარსელებმა) საქართველოდან ყანდაჰარისათვის ჯარის შეგროვება, ქართველებმა უარით უპასუხეს და არ წავიდნენ⁵⁷. შემდეგ მაჰმუდ როსტომ ხანი მთავარსარდლად დაინიშნა და იქითკენ გაიგზავნა. ვერც მან გაბედა, წინააღმდეგობა გაეწია ავღანელებისათვის. ამ ხანებში, როდესაც ჰერათი და მეშხედი ჯერ კიდევ სპარსეთის მფლობელობაში იყო, მან ყურადღება მიაპყრო ამ მხარეების საზღვრების დაცვას⁵⁸.

ნუ იქნება დამალული, რომ შაჰნავაზ ხანი, ხოსროვ ხანი, ჰუსეინ ყული ხანი, ვახტანგ ხანი და მეჰმედ ყული ხანი—ყველა ესენი ქართველთა ტომის მთავრები იყვნენ და ყიზილბაშები გახდნენ⁵⁹, ხოლო მათ წინამორბედ ქართველ მეფეებში ცნობილი თე-

⁵⁴ კაიმაკამი—განმგებლის მოადგილე.

⁵⁵ სხვა ცნობებით, 30 ათასი.

⁵⁶ ქაიხოსრო და მასთან მყოფი ორასი ქართველი ისე გმირულად დაიღუპნენ ამ ბრძოლაში, რომ ბევრი ევროპელი ავტორის ქება-დიდების საგანი გახდნენ.

⁵⁷ რატომ ამბობდნენ ქართველები უარს ყანდაჰარში წარსვლაზე? ქართველები საკითხს ასე აყენებდნენ: საქმეს ყოველთვის ხელს უშლიდა სპარსელების უმოქმედობა ან ლალატი. ამიტომ ქართველები თანახმა იყვნენ წასულიყვნენ მარტო, სპარსელების გარეშე, მაგრამ ეს სპარსელებს არ აწყობდათ.

⁵⁸ ვინ მიაპყრო ყურადღება? ალბათ, შაჰმა.

⁵⁹ იოსები არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში უხდებოდათ ქართველ მთავრებს მაჰმადიანობის მიღება და როგორი მაჰმადიანები იყვნენ ისინი. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ვახტანგ VI 1712 წელს შაჰ ჰუსეინის

იმურაზ მეფე იყო. მეკმედ ყული ხანი ერეკლეს შვილთაგანი იყო, ზოლო ვახტანგ ხანი—მისი ქალიშვილისაგან. საქართველოს მთავრებს შორის უთანხმოება რამდენიმე ხანს არ იყო. ის კი არა, როცა თბილისის მთავრის ადგილი პირველად შაჰნავაზ ხანს შესთავაზეს, მეკმედ ყული ხანის მამა — ნაზარ ალი ხანი, შეშინდა და მოსკოვს გაიქცა. შემდეგ შაჰნავაზ ხანი აჯანყების გზას დაადგა და კვლავ რალაცნაირად ჩამოიყვანა მოსკოვიდან და შესთავაზა მას საქართველო. მას დაეხმარა სპარსელთა ჯარი და შაჰნავაზზე გაიმარჯვა, ის მთებში გაიქცა⁶⁰.

შემდეგში იგი⁶¹ ისტაჰანში მიიწვიეს, აპატიეს თავისი დანაშაული და რამდენიმე ხნის შემდეგ მას შესთავაზეს ქირმანი და, როგორც ზემოთ ითქვა, ცოტა ხნის შემდეგ სპარსეთის სპარსალარი და ყანდაჰარის ვალი გახდა.

ამის შემდეგ ვახტანგ ხანი ისტაჰანში მიიწვიეს, რაფიზობა მიიღო⁶² და საქართველო შესთავაზეს. მეკმედ ყული ხანი ისტაჰანში რამდენიმე წელს კაიმაკამი იყო, ზოლო მისი ძმა თეიმურაზი—კახეთის ვალი გახდა. საქართველოში ჯერ კიდევ სასურველი და პატივსაცემი მეკმედ ყული ხანია. ვახტანგ ხანი მიიწვიეს ისტაჰანისათვის დახმარების გასაწევად⁶³, რაზედაც იგი არ დათანხმდა, მოსკოვის მეფესთან საერთო ენა გამონახა და შაჰს აუჯანყდა; რო-

მიწვევით ისტაჰანში ჩავიდა. შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა უარი თქვა. იგი ქირმანში გადაასახლეს. 1715 წელს ვახტანგმა კონტაქტი დაამყარა სპარსეთში მყოფ კათოლიკე მისიონერთა მეთაურ ფედელი მილანელთან. ვახტანგი კათოლიკე მისიონერს აცნობებდა, რომ კათოლიკობის მიღება გადაწყვიტა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ვიდრე კათოლიკე მისიონერი მოინახებოდა და იგი ვახტანგთან მივიდოდა, ვახტანგი აიძულეს (ახლობლებმაც ურჩიეს) მაჰმადიანობა მიეღო და წინდაცვეთაც მაშინვე მოხდა. რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოსკენ მომავალი ვახტანგი პოლონელ მისიონერს თადეუშ კრუსინსკის შეხვედრია და საუბრის დროს ვახტანგს მისთვის უთქვამს: „ჩემი სხეული მაცხოვარ ქრისტეს ეკუთვნის, ზოლო მაჰმადს — სხეულის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მუსლიმანური სექტის ნიშანია“.

⁶⁰ აქ ბევრი რამეა ბუნდოვანი, მაგრამ ზოგი რამ მაინც გვინდა შევნიშნოთ: აქ ლაპარაკია ერეკლე I-ზე. მაგრამ იგი მოსკოვიდან შაჰნავაზს, ე. ი. გიორგი XI-ს კი არ ჩამოუყვანია, არამედ იგი შაჰს სჭირდებოდა. შაჰმა გამოგზავნა სპარსული ჯარით საქართველოში. გიორგი XI კი „მთებში კი არ გაიქცა“ (ტყუობოდა სიტყვა „გაქცევა“ ძალიან უყვარდა იოსების), არამედ იმერეთში გადავიდა.

⁶¹ ალბათ, გიორგი XI.

⁶² მკითხველს ეგონება, რომ ვახტანგი ისტაჰანში ჩავიდა თუ არა, მაშინვე მიიღო მაჰმადიანობა, როგორც კი შესთავაზეს.

⁶³ ეს უკვე 1722 წელს ხდება.

ცა შაჰ ჰუსეინი დაპატიმრებულ იქნა (?), ვახტანგმა შეასრულა თაჰმას შაჰის მოთხოვნა და საქართველო მეჰმედ ყული ხანს უბოძა⁶⁴.

მოკლედ, ამ წლებში დაღისტნელი ლეკები აჯანყებას აწყობდნენ, შირვანს დაეუფლნენ. აიღეს და დაიპყრეს ქალაქი შემახი. იმ დროს, ჯერ კიდევ მირ მაჰმუდი თვალსაჩინოდ არ ჩანდა და მოსკოვის მეფესა და შაჰ ჰუსეინს შორის მეგობრობა იყო. ამ მეგობრობის საფუძველზე ხსენებულმა შაჰმა შემახის განთავისუფლებისა და ლეკების დასასჯელად ხარჯები გასწია და ამის შემდეგ მეფისაგან ორათასიანი ჯარი იმ პირობით ითხოვა, რომ ის მეფეს მისცემდა გარკვეულ თანხას. მეფე⁶⁵ ვახტანგ ხანისა და შამხალს წაქეზებით თვითონ მივიდა თავისი ჯარით, მოტყუებით, გარეგნულად მეგობრობის პრეტენზიით, დერბენდის ციხე აიღო და შიგ მცველი დააყენა.

რადგანაც მირ მაჰმუდი იმ დროს ისფაჰანს მიაღწევს. რუსეთის მეფემ⁶⁶ ცარიელი სიტყვებით ბევრი ილაპარაკა მეგობრობაზე და ცრუ გულწრფელობით და გარეგნულად ყალბი მეგობრობით რომ დაეჭვებინა, გილანში 2 ათასიანი ჯარი გაგზავნა, რეშთად წოდებულ ქალაქში მივიდნენ. სპარსელთა ტომის დამხმარე ძალა მოვიდაო და გაიხარეს. განიზრახეს ყაზვინსა და ისფაჰანში წასასვლელად ღონისძიებები მიეღოთ. მათვე კიდევ თქვეს, რომ ჩვენ ჯარი ვართ... და ჩვენს შემდეგ ბევრი მოვა ჩვენი ჯარიდანო. ეს მოიმიზეზეს და წასვლაზე უარი თქვეს.

შემდეგ წელს⁶⁷ ოთხი თუ ხუთი ათასიანი მოსკოვის ჯარი მოვიდა... შვიდი ათასი გახდებიანო. ვინაიდან ისფაჰანი უკვე აღებულ იყო, როცა თქვეს: ყაზვინის დასაცავად წავიდეთ და სამგზავრო მომზადებას შევუდგეთო, მათ უპასუხეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენი მეფისაგან ამას იქით წასვლის შესახებ მითითება არა გვაქვსო და ამ საბაბით გამოყოფილ ნაპირებზე სანგრები გააკეთეს, გამაგრდნენ და ამ მდგომარეობაში დარჩნენ. გარდა ამისა, გაიგეს, რომ მოსკოვის ჯარი გილანს, მაზანდერანსა და ასტრახადში მივიდა.

⁶⁴ ეტყობა, იოსებს წარმოდგენა არა აქვს საქართველოს ისტორიაზე. ისიც კი არ იცის, რა ხდება საქართველოში, კერძოდ თბილისში 1722—1725 წწ., ამ დროს თვითონ ჯერ ისფაჰანშია, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში.

⁶⁵ ყველგან იგულისხმება რუსეთის მეფე პეტრე I.

⁶⁶ იოსები ყველგან წერს „მოსკოვის მეფე“.

⁶⁷ გაუგებარია, რომელ წელს.

მირ ვეისის გარდაცვალება ყანდაპარში და მმართველად მისი ძმის მირ აბდულაჰის გამოცხადება. ხსენებული მირი ამ ვითარებაში ყანდაპარის ქვეყანას რომ განაგებდა და მართავდა, სპარსელებისა და სხვა ძალმომრეობისაგან ქვეყნის მოსახლეობა მოსვენებასა და მშვიდობაში იყო; აჯალი⁶⁸ მოვიდა და გარდაიცვალა. მირ მაჰმუდი 18 წლის ყმაწვილი იყო, ყანდაპარის ქვეყნის მართვა-გამგეობის მემკვიდრეობითი უფლება რომ ჰქონდა, მაგრამ ბიძა მისმა, მირ აბდულაჰმა, მას სძლია, მაჰმუდი გააგდო და ყანდაპარის მმართველი გახდა.

მირ მაჰმუდის მიერ მირ აბდულაჰის მოკვლა და მმართველად მირ მაჰმუდის გამოცხადება. თავგადასავალი, რომელიც მირ ვეისს სპარსელებთან ჰქონდა, მეტად დიდი იყო. ყანდაპარის ქვეყანამ ყიზილბაშთაგან მკაცრი შემოსევისა და ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის საზღვარსა და ზომას გადასული სიძნელეები განიცადა. მან⁶⁹ ჩაიდინა საშიში და დამლუპველი საქმეები და ამის გამო ავღანელი წარჩინებულებისა და ხალხის უმრავლესობის სურვილი და კეთილგანწყობილება მისი შვილის⁷⁰ მირ მაჰმუდისკენ იყო მიმართული. ამ ვითარებამ გამოიწვია ის, რომ აბდულაჰი შიშსა და შფოთში ჩავარდა. თავისი პოზიცია რომ გაემაგრებინა, სპარსეთის შაჰს მიმართა, ისევ მისი გზით გაიარა, შაჰისაგან ჯარი მოითხოვა და დაადგა იმ გზას, რომლითაც ყანდაპარის ქვეყანა კვლავ შაჰის მფლობელობა-პატრონობას დაუბრუნდებოდა.

ამ გასაოცარ ვითარებაზე კილიჩიან-ავღანმა დიდებულებმა იფიქრეს და იმსჯელეს, ეწყინათ ეს და გაჯავრდნენ. სამზადის ღონისძიებათა უარყოფასა და აკრძალვაზე ფიქრი და მღელვარება დაიწყეს. შემდეგ მირ მაჰმუდი წააქეზეს და პირობა დადეს, ბიძამისის გაგდებისა და მოშორების საქმეში დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენდნენ და თავს გამოიდებდნენ. ამრიგად, მირ მაჰმუდის გულსა და სულში მეთაურობის სურვილისა და მმართველობისადმი მისწრაფების ალი აინთო და ალიტაცა იგი.

ერთ დღეს უმაღ 200-მდე კაცი შეკრიბა და ნაშუადღევს, როცა ბიძამისს მშვიდად ეძინა, მოულოდნელად სწრაფად სასახლისა-

⁶⁸ სიკვდილი.

⁶⁹ ვინ მან? აქ ლაპარაკია მირ ვეისზე, მაგრამ ეს სიტყვები და ასეთი მოქმედება არ შეიძლება მას მიეწეროს. ამიტომ, ალბათ, იგულისხმება მირ აბდულაჰი, რომელსაც ბრალს სდებდნენ სურვილში: გამოენახა საერთო ენა სპარსელებთან.

⁷⁰ ვისი შვილის? ცხადია, მირ ვეისის შვილის.

კენ გაემართა, თავს დაესხა და მოკლა. მაშინვე დაფი და ნალარა დააკრევირა და მთავრის ადგილას დაჯდა⁷¹. მაშინვე გაგზავნა მაცნეები, რომლებმაც ციხის ყველა მხარეს და ქალაქს აცნობეს, თუ რა ბედი ეწვია აბდულაჰ ხანს და რომ მირ მაჰმუდმა ყანდაჰარის მმართველის ადგილი დაიკავა. მან ავლანელთა ჯარი შეკრიბა და ყანდაჰარის ქვეყნის მომიჯნავედ მცხოვრებ და ბულუჯებად წოდებულ ტომთაგანაც გარკვეული რაოდენობის ჯარი აიყვანა; შემოხსენებულ ქირმანის ქვეყანაში წავიდა, დაარბია და ყანდაჰარს დაბრუნდა.

აქა ამბავი იმისა, თუ როგორ დასთხარეს თვალები ეთემად აღ-დოულეს. როდესაც... ეთემად აღ-დოულეს თანამდებობაზე დაღისტნელი, ლეკური წარმოშობის (პიროვნება) იყო... ლეკებმა შაჰს აჯანყება მოუწყვეს.. მირ ვეისის საპატიმროდან გათავისუფლებისა და ყანდაჰარში მისი დაბრუნების საქმეში ხსენებული ფათ ალი ხანის, იმ ხანებში ეთემად აღ-დოულეს, მეცადინეობა და მზრუნველობა ცხადი იყო. ამის გამო მასზე მოღალატეობის ეჭვი მიიტანეს და შაჰისა და ზოგიერთი სპარსელი წარჩინებულის გული ეჭვმა შეიპყრო⁷². ფათ ალი ხანი სუნიტი იყო და მომხდარი აჯანყებისა და არეულობის ცეცხლი მას მიაწერეს; ბრალი დასდეს, რომ ეს მის მიერ და მისი მოქმედებით იყო გაღვივებული. ის გადააყენეს, ორივე თვალი დასთხარეს და დააბრმავეს. მის ადგილზე, ეთემად აღ-დოულედ ყურუჯიბაშის თანამდებობაზე მყოფი, სპარსელი წარმოშობის მეჰმედ ყული ხანი დანიშნეს.

შაჰ ჰუსეინის თეირანიდან ისფაჰანს გამგზავრება და ცისარტყელას გამოჩენა. სპარსელთა ქვეყნის ვარსკვლავმრიცხველნი თავიანთი წინასწარმეტყველების საფუძველზე ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ აშკარად ისევ ვერ იკავებდნენ თავს ცნობებზე სეფიანთა სახელმწიფოს დაცემაზე და, განსაკუთრებით, ქალაქ ისფაჰანზე ბოროტგანმზრახველთა მომავალ თავდასხმაზე.

მათ გასულ წლებში შექმნილ ვარსკვლავთა ახლომყოფობით ახსნილ-განმარტებული ეს ვითარება საფუძველად დაუდეს თავი-

⁷¹ ეს ამბები სხვადასხვა ავტორებს სხვადასხვანაირად აქვთ აღწერილი.

⁷² ოსები არაფერს ამბობს შაჰის სასახლის კარზე არსებულ ინტრიგებზე, რომელთა მთავარი შემოქმედნი საჭურისები იყვნენ. ასეთი ერთ-ერთი ინტრიგის მსხვერპლი გახდა ეთემად აღ-დოულე ფათ ალი ხანი, მაგრამ მას საკუთარიც ბევრი ცოდვა ჰქონდა.

ანთ პრეტენზიას. (მან) თავის სულიერ შიშსა და მღელვარებას სძლია. ის კი არა, შაჰ ჰუსეინის თეირანიდან ისტაჰანში დაბრუნებისას ერთ დღეს შემთხვევით ამინდში დიდი ცვლილებები მოხდა. გამოჩნდა ერთი ცეცხლისებური ღრუბელი, შაჰ ჰუსეინი თავიდან ფეხებამდე დაფარა და იმგვარად მოეხვია, რომ ჩანდა მხოლოდ მიწიდან არეკლილი ცეცხლის ენები და რამდენიმე ფეხი იმ ცხენისა, რომელსედაც ის იჯდა. ამ მდგომარეობას ცხადად უყურებდა ყველა ადამიანი და მის საოცრებასა და ფიქრში ჩაიძირა... ქალაქ ისტაჰანში, შეიძლება მთლიანად ირანის⁷³ ქვეყნებში ლაპარაკი (ქორი) იყო. შაჰის ისტაჰანში გამგზავრებაში რალაც ნიშნები დაინახეს და რალაც მიინიშნეს. ხალხის უმრავლესობა ასე მსჯელობდა, რომ ისტაჰანს მოიცავენ ზეციერი უბედურებანი. ზოგიერთი მათგანი ამბობდა, რომ თავრიზის მსგავსად მას მიწისძვრა გაანადგურებსო, ზოგი კი — ჭირი გაჩნდებაო; ზოგიერთი ამბობდა, რომ ციდან ცეცხლის წვიმა წამოვაო, სხვები—ჯანყი და ხოცვა-ჟლეტა იქნებაო და საშინელ შიშს განიცდიდნენ, ლოცვას ასრულებდნენ, მარხვას იხატავდნენ. სულ სალოცავზე გადავიდნენ. მათ გვიან გაიგეს ქეშმარაგება...⁷⁴.

მ ი რ მ ა ჰ მ უ დ ი ს გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ი ს ტ ა ჰ ა ნ ი ს ა კ ე ნ .
 შაჰი დაბრუნების შემდეგ დაახლოებით 9 თვე ისტაჰანში გაჩერდა. უკვე ყველას ეგონა, რომ ამ გარდუვალმა უბედურებამ გადაიარა. მირ მაჰმუდი კვლავ რომ ჭირმანში მივიდა, არავის არ უფიქრია და მღელვარება არ უგრძვნია მისი ჭირმანიდან ისტაჰანში ჩასვლის განზრახულობის შესაძლებლობაზე. ასეთი ვითარება რომ იყო და მთელი ქვეყანა ასეთ დაუდევრობაში იმყოფებოდა, უეცრად მირ მაჰმუდმა ჭირმანი კვლავ გაავერანა. მოვიდა ამბავი, რომ მან განიზრახა ისტაჰანისაკენ წასვლა. თათბირები მოეწყო და ბევრი ჭორი გამოვიდა. ზოგიერთმა გონიერმა და სახელმწიფოსადმი კეთილად განწყობილმა სინდისიერმა უზენაესი სახელმწიფოსაკენ⁷⁵ უსტარი გაგზავნა. ამბობდნენ: ამ ამბების შესახებ სახელმწიფოსათვის მოკლე ცნობები რამდენი სარგებლობის შემცველიაო და, იმავე დროს (ეს ღონისძიება) იყო დახმარების გაწევის გზაზე...

შაჰ ჰუსეინი თავისი არსებით თავმდაბალი თვისებისა და სინ-

⁷³ იოსები სპარსეთისა და ირანის აღსანიშნავად იშვიათად ხმარობს „ირანს“. უმეტეს შემთხვევაში იგი ამბობს „აქემს“.

⁷⁴ აქ მოტანილია არაბული ანდაზა, მაგრამ შინაარსი გაუგებარია.

⁷⁵ იგულისხმება თურქეთის სახელმწიფო.

بعضی از این کارها بود که در آن زمان
از سوی دولت صورت می گرفت
و قوت بسیار زیادی در آن زمان
داشتند

به قولی که در آن زمان
و اینها همه چیز بود که در آن زمان
بودند و اینها همه چیز بود که در آن زمان
بودند

و اینها همه چیز بود که در آن زمان
بودند و اینها همه چیز بود که در آن زمان
بودند و اینها همه چیز بود که در آن زمان
بودند

დისიერი იყო, აქეთკენ ჰქონდა სურვილი და კეთილგანწყობილება⁷⁸. მაგრამ შფოთის ხალხმა და მოწინააღმდეგეებმა ეს ღონისძიება უარყვეს და სავსებით არა გონივრულად მიიჩნიეს. ამითო, ამბობდნენ ისინი, ჩვენ ხელს შევეწყობთ ოსმალთა მაღალი სახელმწიფოს წინაშე სისუსტის გამომჟღავნებას. ეს აზრი და ფიქრი ძალიან ბოროტი საქმეაო, თქვეს და დამალეს და შაჰ ჰუსეინმა კვლავ განიზრახა ისფაჰანიდან ყაზვინისაკენ გამგზავრება. ეს კორები... სახელმწიფოს უღირსმა მფლანგველმა შვილებმა... და ჩვენი შაჰი დესპოტისაგან გამოიქცაო — ათქმევინეს. ეს ნაკლია სეფიანთა სახელმწიფოს სახელისა და დიდებულებისაო, თქვეს და ბევრი იდავეს და შაჰს უარი ათქმევინეს ამ გამგზავრებაზე, რადგანაც ეს უმნიშვნელო საქმედ ჩათვალეს.

მირ მაჰმუდმა კი ამას წინათ ქირმანის დარბევის შემდეგ რამდენიმე ხანს ყანდაჰარში დაისვენა, ჯარის შეკრებას შეუდგა და ბელუჯთა ხალხიდან ორი ათასი კაცი გამოიყვანა და 16 ათასიან ავღანელებს დაუმატა. მთლიანად 18 ათასიანი ჯარი შექმნა, უწინდებურად სეისტანის ველით გაემგზავრა ქირმანის ქვეყანაში. ქირმანის ციხე შეკეთებული იყო, გამაგრებული დახვდა. სამ თვეს ალყა შემოარტყა და ქალაქიც დაარბია. ბოლოს ციხე როგორც წესი და რიგი იყო დატოვა და უკან დასაბრუნებლად ასი ქისა ფულით დაზავდა.

ქირმანიდან ისფაჰანისაკენ გაემართა და გაემგზავრა. ყანდაჰარიდან ისფაჰანამდე ქირმანის გზით 70 გადასარბენის მანძილია და რადგანაც მისი ათი გადასარბენი უდაბნოსაგან შედგება, მას შეეშინდა ამ უდაბნოს სიძნელეებისა და იქ გაწვალეებისა, ერთ სულთანთან ერთად 2 ათასი კაცი უდაბნოდან დააბრუნა, 2 ათასი კიდევ უდაბნოში დაუძლურებულნი და ქირმანის ლაშქრობაში დაიღუპა, სულ მთლიანად 14 ათასიანი ჯარით... ქალაქებს გადაუარეს და ერთ დღეს ისფაჰანში ხმა გავრცელდა, რომ მოულოდნელად მათ ისფაჰანის ვილაიეთს მიაღწიეს. როცა ამას წინათ გონიერ ადამიანთა ჰკუთით იმოქმედეს, სიფრთხილეს ვერ მიაღწიეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ არც გაქცევა გიშველის, არც თავის ასარიდებელი ადგილია და არც დახმარებაა რეალური.

შემდეგ აუცილებელი შეიქმნა დაეწყოთ შეძლებისდაგვარად ჯარის შეკრება და მომზადება სამხედრო საჭურველისა და ხოცვა-

⁷⁸ მეტისმეტი მაღალი შეფასებაა ამ უნიჭო, ეჭვებს აყოლილი, უსაქმური, ჰარამხანით გართული შაჰისათვის.

ქლევტის იარაღისა. ისფაჰანის ვილაიეთი კეთილნაშენი და კეთილმოწყობილი იყო და მასში ათასორასზე მეტი სოფელი იყო. ჰამადანსა და მათ შორის 12 გადასარბენი მანძილი იყო. აქედან 6 გადასარბენზე მდებარე ადგილები ჰამადანის მიდამოებში შედიოდა, დანარჩენი ისფაჰანისა იყო. ყოველმხრივ კეთილნაშენი იყო. მებრძოლთა და მსროლელთა ქვეითი ჯარის შესაკრებად საჩქაროდ გამოვიდა მტკიცე ბრძანებები. სოფლებიდან 18 ათასი მამაც მსროლელთა ჯარი მომზადდა. იმ მიდამოებში მოსახლე ხანებიც და ბეგებიც მოვიდნენ სასწრაფოდ, ზოგი თავისი ჯარით, ზოგი... ჯარით; ზოგიერთი 5—5, 10—10 კაციით სასწრაფოდ ისფაჰანში ჩამოვიდნენ.

მირ მაჰმუდიც შესძლებისდაგვარად სწრაფად მოქმედებდა და ისფაჰანიდან 4 გადასარბენს იქით მდებარე ვარზანსად წოდებულ დაბას მიაღწია. ამ ადგილას ყოფნის დროს მირ მაჰმუდს ისფაჰანიდან გამოუგზავნეს მაცნე და შემოუთვალეს: ისფაჰანის ვილაიეთში ნუ შემოხვალო და შაჰის მიერ გამოგზავნილი ექვსასი ქისაფული მიართვეს. მაგრამ ხსენებული მირი არავითარი თავაზიანობით არ შეხვდა ამას, მაცნე გააგდო, იჩქარა და 1134 წლის⁷⁷ პირველ ჯუმადას თვის მერვე შაბათ დღეს⁷⁸ ქალაქ ისფაჰანიდან 4 საათის მანძილზე მდებარე გულნაბადად წოდებულ სოფელში მივიდა. მან გაიგო, რომ ისფაჰანიდან ჯარი გამოვიდა ლეგიონებად და ტალღა-ტალღებად, შეჩერდა და ხსენებულ ადგილას განლაგდა.

ისფაჰანში შეკრებილი ყიზილბაშთა ჯარის რაოდენობა და სახელოვანი სარდლები. ჯარის შეკრებას ისფაჰანში დიდი მეცადინეობითა და მზუნველობით მოეკიდნენ. გარშემო მდებარე სოფლებიდან მომზადდა თვრამეტი ათასი მსროლელთა ქვეითი ჯარი. მიწისმუშა გლეხთაგან და მტკირთავი მუშებისაგან წერაქვითა და ნიჩბით შეიარაღებული 4 ათასი კაცი მოგროვდა. გამოიტანეს ათი ცალი ბალიემეზისა და 14 ცალი შაჰური ზარბაზანი, ასი საპალნე თოფისწამალი და უამრავი ტყვია. მათთან ერთად (იყო) აგრეთვე ფრანგი დახელოვნებული არტილერისტი. ერთი სიტყვით, შაჰ ჰუსეინი ქალაქში დარჩა. სახელმწიფოს თავკაცებიდან: ეთემად ად-დოულე მეჰმედ ყული ხანი, ალი... ყურუჯუ ბაში შეიხ ალი ხანი, ყულარაღასი ვახტანგ ხანის ძმა

⁷⁷ ამ გვერდის მარჯვენა ველზე მიწერილია: ჰიჯრით 1134 წელ ი—ქრისტესით 1722 წელი.

⁷⁸ პირველი ჯუმადას თვის მერვე შაბათ დღეს—1722 წლ-ს 7 მარტს.

მეჰმედ რუსტემ ხანი, მსროლელთა ალა ლუტფ ალი ხანი, ეშიქ ალათა ბაში ჰუსეინ ყული ხანი, არაბეთიდან ხოიზას ვალი მირ აბდულაჰ ხანი, ჰამადანის ხანი კადრულაჰ ხანი, კუჯკილოს, ე. ი. ფარსის ვალი ალი რიზა ხანი, სეისტანის ხანი ყასიმ ხანი, თოფჩუ-ბაში მეჰმედ ხანი და სხვა გადამდგარი ხანები და ბეგები, 12 ავად-სახსენებელი სარდარი იყო. სულ 52 ათასი ყიზილბაშთა უბედური ჯარით, განდიდებასა და სიდიადეში მსოფლიოს ნახევარში გაუთ-ქვამს სახელი (?) მალალსახელოვანი. (ეს ჯარი) ისფაჰანიდან ქა-ლაქგარეთ გავიდა და მირ მაჰმუდის წინააღმდეგ გაემართა. ეს მი-რი ჰიანჰველა რომ ეგონათ, გველი ჰპოვეს. შაბათ დღეს გავიდ-ნენ, უძალ კვირა დღეს საქმის ცოდნით გამართეს კორიანტელივით დიდი ომი.

ყიზილბაშთა საპირისპიროდ მირ მაჰმუდის მიერ ჯარის დაწყობა და რეგულირება. მირ მაჰ-მუდმა რომ შეხედა და დააკვირდა სპარსელთა ჯარის სიმრავლეს და სიუხვეს, სიდიადესა და ძლიერებას, საუცხოობას და შთამა-გონებლობას, ძალაუწებურად მისი სული შიშმა და ძრწოლამ მო-იცვა და მის არსებას გაქცევის სურვილი დაეუფლა. მან თავისი ჯა-რიდან შეარჩია ათასი მარდი მხედარი იმ განზრახვით, რომ გზას გასდგომოდა. ეს მაშინვე გაიგო მისმა დიდმა სარდარმა ამანულაჰ სულთანმა, სწრაფად მივიდა მასთან, საფუძვლიანი გონებამახვი-ლური (სიტყვებით) გადაუშალა გული და მას რჩევა-დარიგება მისცა. მიმართა მას და უთხრა: ჩემო მირო, რა არის მიზეზი და რამ გამოიწვია შენს გონებაში შიში და შფოთი, ფიქრი, მღელვა-რება და ცუდი აზრები? სიმრავლე ყიზილბაშების, რომელსაც შენ ხედავ, ჩვენი აზრით, ეს არის იღუმალი სიკეთე და ღვთის მიერ მონიჭებული მადლი, წყალობა და კეთილი გზა, ვინაიდან ჯარი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, მთლიანად ხელოსნების, გლეხებისა და მომსახურე პერსონალთა ნარევია და მათი (მხრიდან) წარმოუდგე-ნელია სიმტკიცე და სიმძლავრე, საქმისადმი მიზანშეწონილი მოთ-მინებითი მიდგომა... ის კი არა, შეიძლება მათში მრავალრიცხო-ვანობის სიჭარბე საგანგაშო და უკუქმედების გამომწვევი იყოს. და ჩვენი აზრით, ეს არის გზა სიადვილისაკენ მეორედ მოსვლამ-დე. გარდა ამისა, ეს სიამაყის საბაბია, ამ უფსკრულიდან გადარ-ჩენისა და ამ უბედურების მორევიდან მშვიდობისა და ხსნის იმ დონემდე სასიხარულო და სასიამოვნო საშუალებათა გზაა, რო-მელზედაც გავლა გველ-ქვეწარმავალთათვის შეუძლებელია. სრუ-ლი ხსნა, მშვიდობა და ბედნიერება, სააქაო და საიქიო ამისათვის

არის განკუთვნილი, რომ საღეთო და სარწმუნოებისათვის ბრძო-
ლით სხეული გაიჯანსაღონ, გახდნენ ღირსი სარწმუნოებისათვის
წამების ბედნიერებისა ანდა მედგრობით, სიმტკიცით და ბეჯითო-
ბით მივაღწიოთ შეწყალებას და გავხდეთ ღირსი გამჩენი ღმერთის
დაქმანებისაო, თქვა...

როდესაც (მან) ღვთის ნებით მომეტებულად მკერმეტყველი.
ბედნიერებასთან ახლომდგომი, ისლამური კანონის მიხედვით დაპ-
რიგებლური ეს სიტყვა წარმოთქვა, სხენებულმა მირმა დაწაბული
მოსმენით და გამჭრიახობით ეს ადვილად მისაღები დარიგება ტაქ-
ტიანაჲ შეიგნო და გაქცევის განსრახვა გამაგრებითა და სიმტკი-
ცით შეცვალა. შიში და მღელღარება თავის გულში გააქრო და გამ-
ბედაობად შეცვალა. ის მაშინვე დიდი ძალღონით სულითა და
გულით შეუდგა მზადებას წინააღმდეგობის გასაწევად და ამ ცნელ
საქმეს მთელი თავისი ძალღონე მოახმარა. შემდეგ, საქმის კარგი
ცოდნით ჯარი (საბრძოლველად) განაწყო და შეუდგა ჯარის რიგე-
ბად და გუნობაჲ დაწყობას. მან თავისი ჯარი სამ ლეგიონად ჩა-
მოაყალიბა: მარჯვენა ფლანგი, მარცხენა ფლანგი და ცენტრი, ასე
დაჰყო და დაანაწილა. თავის პირველ სარდარს ამანულაჰ სულ-
თანს ხუთიათას კაციანი მარჯვენა ფლანგი ჩააბარა. სეისტანელ წარ-
მოშობის ცალთვალა ნასრულაჰ სულთანს სამი ათას კაციანი მარ-
ცხენა ფლანგი გადასცა. ამრიგად, მარჯვენა და მარცხენა ფლანგე-
ბად დაწყობის წესი მიიღო. დანარჩენი ექვსი ათასი ჯარით ხსენე-
ბული მირი ცენტრში დადგა.

ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა ჯ ა რ ი ს გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა. რამდენადაც ყო-
ზილბაშთა ჯარი ხელოსნებისაგან (შედგებოდა) და ნარევი იყო,
რამდენადაც არ უნდა ცდილიყვნენ, შემადგენლობა კეთილი თვი-
სებების მქონე ყოფილიყო, მათი წყობის დონე უწესო და არეუ-
ლი იყო. 12 სარდარის აზრსა და ღონისძიებებში თანხმობა და ში-
ნაგანი ერთიანობა არ იყო. ასეთი ვითარება რომ ჰქონოდათ, მაინც
შედლებისდაგვარად (ჯარის) რიგებად დაწყობას შეუდგნენ და ლე-
გიონების მოწესრიგება დაიწყეს. სამი ფლანგი შეიქმნა. მარჯვენა
ფლანგი ეთემად ად-დოულემ, ლორისტანის ხანმა, ჰამადანის ხანმა
და ეშიქაღას ბაშმა აირჩიეს; მარცხენა ფლანგზე დადგნენ ყულა-
რაღასი და ხუიზა ხანი. ცენტრში დადგნენ ყორუჯი ბაში, თუფენ-
ქჩი აღასი და თოფჩუბაში.

ბრძოლის დაწყებამდე მოისურვეს თათბირის მოწყობა. ეთე-
მად ად-დოულემ და მისმა მომხრეებმა (გადაწყვიტეს), მირ მაჰ-
მედს ნუ დავესხმითო. მაშინვე სანგრები დაიკავეს, ზარბაზნები

დააწყვეს ისე, როგორც სურდათ. ყველა მსროლელი სანგრებში ჩავიდა, მხედრები ორ ფლანგად დაეწყვენ და თქვეს: ამგვარად მოვემზადოთ და ვუთვალთვალოთ, ზოცვის საქმეში დიდი გამჭრიახობა გამოვიჩინოთ, რადგანაც ჩვენი ჯარი ნარევი და სხვადასხვა ჯიშის არისო, უყურადღებობა ჩვენს ქვეყანას ბოლოს მოუღებსო. ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი ამ ლაშქრობაზეა დამოკიდებული და ბედნიერებაც დაკავშირებულია დღევანდელ საქმეზე და დიდი მონდომება გამოვიჩინოთ. შეტევებიდან ყიზილბაშთა ლაშქარი... ერთი ჯარისკაცი მირ მაჰმუდი და სახელოვანი... სამაგიერო.

მაგრამ ყულარაღასი და ჭავიზეს ვალი, ერთი მაოგანი ბეგი, ნაშდვილი არაბი და მეორე ქართველი. ორივე სწორაზროვნებას მოკლებული მტკიცე შეხედულების არ მქონენი: სიმართლესთან ახლო რომ იყო, ისეთ ღონისძიებას ანგარიში არ გაუწიეს და მაშინ, როცა... მათ განკარგულებაში მზად იყო ამდენი სპარსელი უნარიანი ჭაბუკი, ასეთი მრავალი ჯარი, უამრავი სამხედრო საქურველი, სრულყოფილი და საქმიანი სარდრები, თავი შეაფარეს სანგრებს ისეთი ჭაღისა და ტომის საწინააღმდეგოდ, რომლებიც სრული ქანცმოღუღლები იყვნენ მცირერიცხოვანობის გამო. საშინელ გზებზე დაუძღურებისა და მძლავრი ლაშქრობის გამო. ეს ნაჩვენებელია სეფიანთა ღინასტიის პატიოსნებისა და ნაშუსის სინაკლებისათვის — თქვეს და ყულარაღასი მარჯვენა ფლანგიდან მაშინვე მირ მაჰმუდის მარცხენა ფლანგისაკენ გაემართა და თავდასხმა დააჩქარა⁷⁹.

მლიერი და მხურვალე ბრძოლა დაიწყო, ნასრულაჰ სულთანს დაპარცბდა, მის ფლანგს უბედურება ეწია. ბრძოლა-ბრძოლით თვით ბანაკამდე მივიდნენ და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს. არაბთა

⁷⁹ როსტომი შეტევის მომხრე იყო. იგი დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. მან განაცხადა: „ახლა იმის დრო არ არის, რომ ვიდაოთ. საჭიროა ვიოშოთ. სიჩხველი იქნება, მარცხელთა და შეამბოხეთა ბანდების წინაშე უკან დახევა ისეთი უზარმაზარი არმიით, რომელთა რიგებში იმპერიის რჩეულთა წარმომადგენლებია“ (იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა — XVIII ს. I მუთხედი, გვ. 335).

როსტომის მიერ საკითხის ასე დაყენება სრულიად ნორმალური იყო. ჯარები საბრძოლველად განეწყვენ და ამის შემდეგ ლოდინი ხელსაყრელი იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის. როსტომი და მისი ნაწილები გმირულად იბრძოდნენ, შედეგებიც შესანიშნავი ქონდათ და, როგორც მთელი რიგი უცხოელი ავტორი (პროფ. დ. მ. ლენგა და სხვ.) მოუთითებს, როსტომისათვის მხარი რომ დაეჭირათ, საქმე სულ სხვა გზით წავიდოდა.

ჯარი ძალიან გაიტაცა ნადავლმა. მათი ვალი ხევიზეს ხანთან ერთად ყულარალასის მარჯვენა მხარეზე დადიოდა⁸⁰. დაიწყეს ავლანელთა ჯარის დარბევა.

მირ მაჰმუდს შეატყობინეს, რომ მისი ჯარი დარბეულ-დაწიოკებულია. ის ყურადღებით არ მოეკიდა ამას და თქვა: თუ ჩვენ მოგვიწევს დარბევა, მაშინ ჩვენი და ჩვენი ქონების მფლობელები ისინი გახდებიან; თუ მალალი ღმერთის შემწეობით გამარჯვების ჯარი ჩვენს მხარეზე დაიქროლებს და გავიმარჯვებთ, მაშინ მათი ხალხი და ქონება ჩვენ დაგვრჩება და ჩვენ მათ დავეპატრონებითო — თქვა და თითოეულ კაცს სასტიკი გაფრთხილება მისცა, ყოფილიყვენ თავიანთ ადგილებზე, საჭირო სამსახურის შესრულებაში მტკიცედ და სათანადო თავდადება გამოეჩინათ.

სპარსელთა ჯარი კი, როცა დაინახა, რომ მირ მაჰმუდის ჯარი მარცხენა ფლანგზე დამარცხდა, მაშინვე გაეშურა (მოწინააღმდეგის) მარჯვენა ფლანგისკენ. ასევე ეთემად ად-დოულე ამანულაჰის ფლანგს თავს დაესხა და ძლიერი ხოცვა-ჟლეტა შეიქმნა. ამანულაჰი ხანის ფლანგი უბედურებას წააწყდა და უკან დახევა იწყო. სპარსეთის ჯარის (სარდარმა) ვერ გაიგო და ვერ შეიცნო მომხდარი ეშმაკობა. მას ეგონა, რომ ავლანელები ნამღვილად დამარცხდნენ და გადამეტებით დარტყმა და თავდასხმა დაიჩემა. ვერ მიხვდა, რომ ტყეში ვეფხვი არის... სპარსულ ენაზე ზანბურაკად წოდებული კულუზბურნას ფორმაზე გაკეთებული და აქლემებზე გადაკიდებული... ჩამუხლულნი, რათა ყველა მიმართულებით შესაძლებელი ყოფილიყო მართვა. დაუმატეს... და სულ მთლიანად საფრანგულად გაივსო. ასე ცალი ზარბაზანი მზად იყო. ერთი ფითილიდან სპარსელებს მოულოდნელად ცეცხლი დაუშინეს. ავლანელებს ზარბაზანი რომ ჰქონდათ, ვერაფერ ვერ მოიფიქრა და ვერ გაიაზრა... ამ ეშმაკობისადმი უყურადღებო და ამის უცოდინარი სპარსელთა ჯარიდან ბევრი მიწაზე დაეცა, გაოცდა და გაოცებულმა მაშინვე იქ გაჩერება გაქცევით შეცვალა... ქალაქისკენ გაემართნენ.

ამანულაჰი კი თავისი ჯარით მაშინვე მიბრუნდა, ჩქარა და სწრაფად თავს დაესხა სპარსელებს, სპარსელთა ზარბაზნები და არსენალი ხელთ იგდო და დაეუფლა. ზარბაზნებთან მყოფი ორი ათასი ჯარისკაცით თოფჩიბაში ხმლით აკუწა. ზარბაზნები მაშინვე

⁸⁰ არაბეთის ვალი ხედავდა როსტომის მძიმე მდგომაროებას, მაგრამ იგი ავლანელთა ქონების მიტაცებით იყო დაკავებული და შემდეგ ქალაქისკენ წავიდა.

შუაში ყორუჯი და თუფენქჩი აღას ფლანგებისათვის გადასცა, ზარბაზნები გაიტაცა.

მირ მაჰმუდი კი თავის ფლანგთან ცენტრში მაშინვე გამაგრდა, სათანადო სიმტკიცით ფენი მოიკიდა და მტრის მოძრაობას უყურებდა; მარჯვენა და მარცხენა მცველებისათვის საჭირო დახმარების საქმეს არავითარ ძალღონეს არ აკლებდა. როცა ამანულაჰმა დაინახა თავისი ფლანგიდან სპარსელთა დამარცხება, ზარბაზნების ხელში ჩაგდება, ცენტრში ყურუჯი ბაშის დამარცხებაც და ის რომ გაქცევას აპირებდა, აგრეთვე ისიც, რომ... ნასრულაჰის ფლანგი უძღურებამ მოიცვა და ყულარაღასის დამარცხება (?). ყულარაღასი ჯერ კიდევ ნასრულაჰის ფლანგს ჩასცივებოდა და ჩასჭიდებოდა, ხსენებული მირი, ცენტრში მყოფი, მაშინვე იმ მხარისაკენ გაემართა და სპარსეთის (ჯარებისკენ) გზა გადაუჭრა, ის ფლანგი ყულარაღასთან ერთად მთლიანად წინ გაიგდო და ხმლით აკუწა. (ავღანელთა მიერ სპარსელთა) ჯარის დარბევა არაბეთის ვალმა რომ დაინახა, მიტაცებული ქონებით გაიქცა.

18 ათასი გლეხისაგან შემდგარი მსროლელთა ჯარი, სპარსელთა ჯარის თავში რომ იყო, ბრძოლას ყურადღებით არ მოეკიდა და გაიქცა. გარედან მოსული ხანები ისფაჰანში არ შევიდნენ იმ საბაბით, რომ ქალაქის დასახმარებლად ჯარის მომზადებაა საჭიროო, თავიანთ ქვეყნებში წავიდნენ. ვინც ხმაღს გადაურჩა, ის ქალაქელი ქალაქში გაიქცა და იქ თავი შეაფარა. სპარსელთა ჯარიდან ექვს ათასზე მეტი კაცი დაიხრცა, ავღანელთაგან ნასრულაჰის ფლანგზე ხუთასი კაცი მოკვდა.

ქალაქ ისფაჰანმა ამ ღამეს ნახა ისეთი ამბავი, რომელიც მას ადამის დროიდან არ უნახავს და სამგლოვიაროდ გამოეწყო. ზოგი გაიქცა, ზოგი ტიროდა და ზოგი კი გაოგნებული იყო. მოურჩინელი დარდით შეპყრობილმა შაჰ ჰუსეინმა გაქცევა განიზრახა და ამ გარდუვალს მარცხის თავიდან აცილების გზით წავიდა. ხალხს ისევ აუკრძალა და თანხმობა არ მისცა.. ავღანელებმა კი სპარსელთა დარტყმას თავი აარიდეს და ქალაქში ერთი კაციც არ შევიდა.

შ ე ჯ ა ხ ე ბ ი ს შ ე მ დ გ ო მ ი ა მ ბ ა ვ ი. ბრძოლის ველზე შეხვედრის შემდეგ ხსენებულმა მირმა სამი დღე დაისვენა. ამ შემთხვევით სპარსელებმაც სული მოითქვეს. რამდენიმე შუალედი იყო და ქალაქის შესამაგრებლად ღონისძიება მიიღეს. თვით ქალაქი ისფაჰანი მიწის ციხესიმაგრითა და თხრილით იყო შემორტყმული, აგრეთვე ყველა მისი გარეუბანიც ქალაქივით. იყო თხრილებით შემორტყმული და ყველა დიდ გამაგრებულ კედელს წარ-

მოადგენდა. შემდეგ თხრილებსა და სანგრებში გამაგრდნენ. ვინაიდან ქალაქ ისფაჰანში 106-მდე ქვემეხი და უდიდესი არსენალი იყო, ქალაქის გარშემო ქვემეხები გაიტანეს და დააწყეს.

მეორე დღეს შეპრითანად წოდებულ დარდ დეშთს ავლანელები დაესხნენ და იერიში მიიტანეს. ქვემეხებით უპასუხეს და, 70 (ავლანელი) რომ დაიხოცა, უკუიქცნენ, გამარჯვებას ვერ მიაღწიეს.

ქალაქ ჯულფის ამბავი. ქალაქი ჯულფა ისფაჰანთან ახლოა და მისი მომიჯნავეა. (მდებარეობს) ზენდერუდის სამხრეთით, 6—7 ათასი სახლის შემცველი, კეთილნაშენი და კეთილმოწყობილი ქალაქია. (ქალაქის) დასაცავად შაჰისაგან ჯარი მოითხოვეს, შაჰს არ შესწევდა დახმარებისა და შეწყალების ძალა. მოსახლეობა იძულებული გახდა, მირისათვის მიემართა და შეწყნარება ეთხოვა. მან ეს მიიღო, მაგრამ მათგან საჯარომოდ ფული მოითხოვა—2800 ჰისაზე მორიგდნენ. 800 ჰისა წინასწარ გადაუხადეს, ხოლო დანარჩენისათვის თამასუჟი მისცეს. შეარჩიეს 60 ქალწული და მისცეს. გარშემო სოფლების დარბევის შემდეგ ქალიშვილები გაათავისუფლეს. როცა ჯულფა ამნაირად დამორჩილდა. მათ ხელში და მფლობელობაში გადავიდა, ხსენებულმა მირმა თავისი ჯარი აყარა და ჯულფის ახლო დააყენა. ჯულფის ახლო და მის მიჯნაზე შაჰ ჰუსეინს ჰქონდა „სიხარულის მომგვრელი კეთილნაშენად“ წოდებული ბალი და ბაღია, რომელთა სივრცე სამი საათის (სასიარულო) მანძილს შეადგენს. რამდენადაც შაჰს შესანიშნავი სასახლეც ჰქონდა, მირ მაჰმუდი ამ სასახლეში თვითონ დაბინავდა.

ამის შემდეგ ქალაქი გაამაგრეს; ავლანელები რამდენჯერმე დაესხნენ ქალაქს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს. ბევრი ავლანელი დაიხოცა. მიხვდნენ, რომ შესევით ქალაქის აღებას ვერ მიაღწევდნენ. შემდეგ სხვა გზას დაადგნენ: დაიწყეს ქალაქის გარშემო ალყის შემორტყმა. გზები და მისასვლელები მაგრად გადახერგეს და შეუწყვიტეს სურსათ-სანოვაგის შეტანა, (ქალაქში) შესვლა-გამოსვლა. გზები ჯებირებად აქციეს. მიხვდნენ, რომ ქალაქზე გასამარჯვებლად საჭირო იყო მისი ვრცელი და მტკიცე ალყის შემორტყმა. იფიქრეს და იმსჯელეს მომსვლელებისა და სურსათ-სანოვაგის შესახებ. ქალაქის გარეთ მდებარე სოფლებს სასწრაფოდ ჯარი მიუსაეს, მათი სარჩო-საბადებელი გაძარცვეს, ბევრი დახოცეს და დაატყვევეს. ცოტა ხნის განმავლობაში თითქმის 4—5 წლისათვის საკმარისი სურსათი შეაგროვეს. შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ

مسنون اوله وئی باله ده جان اولسه ربانی عراق کیم
واریختی و روان و ستره آن و کوشسته آن و طاعت
احوالی و شایسته انداز پنه کلن و کلینده کمالی مسنون خرد
و غیره آن که انسه بیرجه و است احوالی و عسده بیست نور و طرز
فصلی مسنون و هر چه اوله مسنون و بو عیبه مسنون
چون فرجه و غیره و انسه و انسه و انسه و انسه و انسه
و و کانی عسده و انسه و انسه و انسه و انسه و انسه
بیست و یک مسنون و انسه و انسه و انسه و انسه و انسه
کله بر ایلمش مسنون و انسه و انسه و انسه و انسه و انسه
مردقی عسده و انسه و انسه و انسه و انسه و انسه

ქალაქ ისფაჰანიდან ერთ კაცსაც გამოსვლა და შესვლა არ შეეძლო. საქმე ამ დონემდე რომ იყო მისული, ალყა კიდევ უფრო განმტკიცდა⁸¹.

ხანების ამბავი და ჯარის შეგროვება. საქმის გამო ისფაჰანის... დახმარებისათვის. დამარცხების შემდეგ ლორისტანის ხანი ალი მარდანი დაინიშნა ირანის სპარსალარად. რადგანაც შაჰ ჰუსეინის მიერ იგი გაფრთხილებულ იქნა, რათა სხვა ხანებთან ერთად სასწრაფოდ მოსულიყო ისფაჰანის დასახმარებლად, სენებელი ხანი ათი ათასი ჯარით ლორისტანიდან ხუნსარად წოდებულ ადგილას მივიდა, ხანებს წერილები გაუგზავნა და მათთან საუბრის მოსვლის მოლოდინში იყო, (მაგრამ ხანები) მის ბრძანებას არ დაემორჩილნენ, მისადმი ერთგულებისაგან პირი იბრუნეს, ყველამ შესაძლებლობის ფარგლებში ჯარი შეკრიბა და (თავი) დამოუკიდებლად იგრძნო... და დასახმარებლად გაემართნენ.

მირ მაჰმუდმა იცოდა და გაიგო მათი უთანხმოება. მან წარმატებულ ჩათვალა მიხვედრილობა. 6 ათასიანი ჯარით ნასრულაჰი ხანებთან საბრძოლველად გაგზავნა. ესეც დახელოვნებული იყო ეშმაკობაში (?) და ისე მოიქცა, როგორც ამ ვითარებაში საჭირო იყო, უპირველესად ყოვლისა იგი მოულოდნელად თავს დაესხა ჰამადან სანს თავისი ხელქვეითი ექვსათასიანი ჯარით და დაამარცხა იგი. შემდეგ, ფარსის ქვეყნის ხანი ალი რიზა 12 ათასი კაცით ისფაჰანში რომ მიდიოდა, გზაში დაამარცხა. ასევე 10 ათასი ნეჯიარის (?) ჯარი ყასიმ ხანთან ერთად რომ უნდა გამგზავრებულიყო, მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხა. ეს დარტყმა დამარცხებით რომ დამთავრდა, ლორისტანის ხანმა შეიტყო და უკუიქცა და თავისი რეზიდენცია, ლორისტანის სატახტო ქვეყანა რომ იყო, ხუზმიაბადის გამაგრებაზე ზრუნვა დაიწყო. გარეშე მდებარე (ადგილებიდან) დახმარების შიშისაგან ავღანელები ამრიგად დამშვიდებული იყვნენ.

⁸¹ თადეუშ კრუსინსკი, რომელიც საერთოდ ქართველებს, კერძოდ ვახტანგ VI-ს მაღალ შეფასებას აძლევს (ქართველები „მაგარი აგებულებების არიან, მათ სამხედრო ხელოვნება ემარჯვებათ“; „იყო ერთი მეფე, როელიც ქებას იმსახურება, საქართველოს მმართველი ვახტანგი“ და სხვ.), წერს: გიულნაბადში დამარცხების შემდეგ შაჰ ჰუსეინმა ვახტანგს დახმარება სთხოვა. შაჰი სწერდა მას: თუ ვახტანგი არ იმოქმედებს, სპარსეთთან ერთად საქართველოც დაიღუპება, ხოლო შაჰ ჰუსეინთან ერთად—ვახტანგიც“. თ. კრუსინსკი დასძენს: ისფაჰანში ხმები გავრცელდა, ქართველთა ლაშქარი მოდისო. ამის შიშით მირ მაჰმუდმა ერთხანს ისფაჰანის ალყა შეასუსტა, ქართველების შიშით მის მოხსნაზეც კი ფიქრობდაო.

ალყიდან თაჰმას მირზას გაქცევა და ყაზვინი-
ში მისი გამგზავრება. როცა ალყამ ხუთ თვეს მიაღწია,
შაჰ ჰუსეინის... მეოთხე შვილი თაჰმას მირზა შაჰისწულმა ათასამ-
დე ცხენოსნით ისტაჰანიდან გაქცევა განიზრახა, ერთ წყნარ და-
შეს ქალაქიდან გამოვიდა და ავლანთა სანგრებზე გაიარა. ღვთის
განგებით დიდი ბრძოლა გამართა, მშვიდობით განვლო და ქალაქ
ყაზვინს მიაღწია.

მირმაჰმუდისათვის ქალაქ ისტაჰანის ჩაბა-
რება. ქალაქი ისტაჰანი მრავალრიცხოვანი (მცხოვრებით), დიდ-
გალავნიანი ადამიანთა საკრებულო, უდიდესი ქალაქია. ხანგრძლი-
ვი ალყის დროს ცეცხლმა, შიმშილმა და სილატაკემ ბევრს ბოლო
მოუღო, ბევრი ღვთის მონის მისწრაფება და არსებობა დაწვა, და-
დაგა და გამანადგურებელ ქარს გაატანა. საშინელი შიმშილის აღ-
მა რამდენიმე ათასის სული დაწვა, დაფარა და არარაობაში უკრა
თავი. შემდეგ მათ იგრძნეს, რომ განადგურებისა...და უბედურები-
საგან გადარჩენა დანებების გარეშე არაფრით არ შეიძლებოდა, ძა-
ლაუნებურად დათანხმდნენ ქალაქ ისტაჰანის ავლანელთათვის გა-
დაცემაზე. შაჰ ჰუსეინმაც მხედველობაში მიიღო ამდენი ადამიანის
და სხვათა ამის გამო დალუპვა და განადგურება და აგრეთვე იფიქ-
რა და განსაჯა, რომ ასეთ ვითარებაში (?) ხანისა და მშვიდობის
მოპოვება შეუძლებელი იყო და იძულებული გახდა ქალაქი ისტა-
ჰანი ჩაებარებინა და ირანის გვირგვინი და ტახტი მირისათვის და-
ეთმო და დაენებებინა. ეს ამბავი მირისათვის რომ ეცნობებინა,
კაცი გაუგზავნა და გააგებინა. როდესაც ქალაქის გადაცემის შესა-
ხებ თანხმობის ამბავი გაიგეს, განზრახვა და მიზანდასახულება გა-
მოაშკარავდა, იმის შიშით, რომ ქალაქის გადაცემის დროს მოხ-
დება დარბევა, ძარცვა-გლეჯაო, იმის შიშით, რომ დამნაშავე და
უდანაშაულო ამ შეშინებულში შეიძლება ფეხქვეშ იქნეს გათელი-
ლიო. (ამიტომ) საფრანგეთის ელჩმა შესანიშნავი საჩუქრებით
თქვენი მონა-მორჩილი მირთან გაგზავნა და მისგან ითხოვა ბრძა-
ნება მღარველობისა და დაცვის შესახებ. შუამდგომლობა მიღე-
ბულ იქნა და ჩვენი საქმეში გარევაც (?) ნებადართული იქნა.

ზაგრამ, რამდენადაც იყო ცნობები იმის შესახებ, რომ შაჰი
ტახტისა და გვირგვინის გადასაცემად მირთან მივიდოდა, ამიტომ
შაჰთან ერთად მისული თავკაცებისა და უფროსების გასაცნობად
მე, თქვენი მონა-მორჩილი, დამტოვეს და არ გამიშვეს.

შაჰ ჰუსეინის მიერ მირმაჰმუდისათვის ირანის
გვირგვინისა და ტახტის გადაცემა. ალყის შე-

მორტყმის საქმემ რვა თვენახევარს მიაღწია⁸². გაჭირვების გაძლიერებამ და შიმშილის ცეცხლმა არ დატოვა (ადამიანის) სული, რომელიც მან არ დაწვა, სხეული, რომელიც მან არ გაანადგურა; არ დარჩენილა ქვა და რკინა, რომელზედაც მას არ ემოქმედოს. ერთ დღეს შაჰ ჰუსეინმა თავისი გვირგვინი დაიდგა და თავისი სამეფო ჯილა თავზე გაიკეთა, თავის ეთემად ად-დოვლეს, ხავიზეს ვალისა და სხვა თავკაცებთან და მმართველებთან ერთად ცხენზე შეჯდა და მირ მაჰმუდთან გაემგზავრა. როდესაც ისინი „სიხარულით აღსავსე სასახლეს“ მიუახლოვდნენ, შაჰ ჰუსეინი მოდისო, აცნობეს მირს. ნახევარ საათამდე დროის განმავლობაში სასახლის გარეთ მოაცდევინა, შემდეგ მიიღეს და ანიშნეს მისაღებოთაში შესულიყო: მირ მაჰმუდი მისაღები ოთახის ერთ კუთხეში იჯდა და შაჰი შემოვიდა, ის წამოდგა. შაჰ ჰუსეინი მას მიესალმა და „სალამ ალეიქუმ“-ო უთხრა. მირ მაჰმუდმაც ოფიციალური მისაღმება არ გააკეთა და „სალამ ალეიქუმ“-ო უპასუხა. ხსენებული მისაღები ოთახი თუმცა ძვირფასი ხალიჩებით სამეფოდ იყო მორთული და მოწყობილი, მაგრამ სპარსული წესის მიხედვით ლეიბი და ბალიში არ იყო, მხოლოდ ორ კუთხეში თითო-თითო თივთიკის ქეჩა იყო გაფენილი და იქვე თითო-თითო ჩასაჯდომი ბალიში იყო დადებული. ერთზე მირი, ხოლო მეორეზე შაჰი დაჯდა. სხვა ყველა ფეხზე იდგა. ამ მდგომარეობაში ცოტა ხანს რომ დარჩნენ, შაჰ ჰუსეინმა წამოიწყო ლაპარაკი და ყურანის (ერთ-ერთი) კარი „ჩემი ალაჰი—მსოფლიოს მფლობელი“, ბოლომდე წარმოთქვა და მაღალი ერთგულების შემცველი ყურანის ამ კარის მოკლე შინაარსი სპარსულ ენაზე გადმოსცა და თქვა, რომ მამული და სახელმწიფო უზენაესი ღმერთისაა, რომელსაც ის მისცემს იმას, ვისაც სურს. ირანის სახელმწიფო ერთხანს მეშწირს მომცა, ახლა მის ღირსად შენ გიცნო. მე მიშვილებიხარ (?), მე კიდევ ჩემი სულიერი კეთილი ნებით შენ გადმოგეცი, ალახმაც გაკურთხოსო—თქვა და თავისი ხელით მოიხსნა თავიდან მოოჭრულ-მოოჭვილი სამეფო ჯილა მირ მაჰმუდის თავზე მისაბნევად, თავისი მოვალეობა შეასრულა და მირის პირველ სარდარს აშანულაჰ სულთანს გადასცა. მანაც იგი აიღო და შეეცადა სწრაფად მიეზნია მირის ჩალმაზე, მაგრამ მირ მაჰმუდმა უკმაყოფილო სახე უჩვენა და სახე მიაბრუნა. შაჰ ჰუსეინი მაშინვე მიხვდა მირის სულში არსებულ საიდუმლო ზრახვას, ადგა, თვითონ აიღო ხელში ჯილა, მივიდა მირთან და ჯილა თავის ხელით მიაბნია მირის თავზე.

⁸² ის ფაქტის ალყა შვიდ თვენახევარს გრძელდებოდა..

შემდეგ ყავა მოიტანეს, ყალიონს რომ ეძახიან, ის ნარგილეები, თამბაქო და ჩაი მოიტახეს და დალიეს. მირ მაჰმუდი რამდენადმე შაჰისადმი ნუგეშის მიგების ხაზით განეწყო და სპარსულ ენაზე თქვა: ჩემო შაჰო, გულში ნაწყენობას ნუ ჩაიდებთ. ასე ხდება, ეს ქვეყანა ხალხიდან ხალხზე გადადის, ხელმწიფობა და მმართველობა კი ერთი ძირიდან მეორეზე გადადის, ეს არის სამარადისო ღმერთის განგებისაგან მომდინარე ადათი. შენ კი იქნები ჩემი უწმინდესი და უკეთილშობილესი მამის ადგილზე და ვიდრე მე არ მექნება შენი აზრი და თანხმობა, მე ისე არც ერთ საქმეს არ წამოვიწყებო— უთხრა და დაამთავრა ლაპარაკი.

იქ ესწრებოდა აგრეთვე ბელუჯის ხანი, რომელმაც საყვედურის სახით მიმართა შაჰს და უთხრა: ჩემო შაჰო, შენ რა საქმე გააკეთე, რომ ჩვენ შენი ქვეშევრდომები ვიყავით და ჩვენ ავღანელთა ქვეშევრდომები გაგვხადეო. შაჰმა ხანს უპასუხა იმავე სიტყვებით, რაც მირს უთხრა: „ბრძანება ერთადერთი ღმერთისააო“.

ეს რომ თქვა, შაჰს ნიშანი მისცეს ამდგარიყო. შემდეგ შაჰ ჰუსეინს თავისი თავკაცებით ხსენებული სასახლის სავანეების ბოლო ოთახი შესთავაზეს და იქ დააბინავეს.

ქალაქის აღების ამბავი და სახელმწიფო სახლში მირ მაჰმუდის შესვლა. ამასობაში მირის პირველი სარდარი ამანულაჰი ავღანელთა 4 ათასი კაცით სახელმწიფო სახლის⁸³ დასაკავებლად გაგზავნეს და დაიკავა. დაიკავეს ქალაქის კარები და დაინიშნა ავღანელი მცველები. რამდენადაც ქალაქი ადამიანების გვამებით სავსე იყო, ცუდი სუნი იდგა. მონდომეს, რომ დივანის გზა და სასახლე რამდენადმე გაეწმინდათ.

იმ დღეს და იმ ღამეს, მეორე დღეს შაჰ ჰუსეინი ესტუმრა „სიხარულის მომნიჭებელ სასახლეში“ მირ მაჰმუდს. მესამე დღეს, რომელიც ჰიჯრით 1135 წლის წმინდა მუჰარემის თვის მე-15 კვირა დღე იყო⁸⁴, დილაადრიან მოაწყვეს ალლუმი, მირი და შაჰი.... ერთად მიდიოდნენ ქალაქ ისფაჰანში „ბედნიერების სასახლისაკენ“⁸⁵... როცა ისინი შერაზის ხილად წოდებულ ხილთან მივიდნენ, შაჰ ჰუსეინმა დაბრუნება მოითხოვა⁸⁶ და „ბედნიერების სასახლისაკენ“ სხვა გზით წავიდა. მირ მაჰმუდი კი დივანის გზით წავი-

⁸³ შაჰის რეზიდენცია ისფაჰანში.

⁸⁴ ქრისტესით 1722 წლის 25 ოქტომბერი.

⁸⁵ შაჰის სასახლე ისფაჰანში.

⁸⁶ დაბრუნება კი არ მოითხოვა, არამედ გზას გადაუხვია. ხალხის მოერიდა, მირს ჩამოსცილდა, სასახლეში სხვა გზით შევიდა.

და. შაჰი თავის ხალხში სრულყოფილი და შეიარაღებული რაზმებით მივიდა (?). ავღანელ მაცნეთაგან ათი კაცი იმამთან მალალი ხმით წყევლა-კრულვას აგზავნიდა შიიტური სექტის მალიარებელთა მიმართ⁸⁷. როდესაც ისინი ისფაჰანის ხაჩოდ წოდებული კარიდან „ბედნიერების სახლამდე“ მივიდნენ, გზები ატლასით და ძვირფასი ქსოვილით იყო მოფენილი, ხოლო „ბედნიერების სახლის“ კარების შიგნითა ნაწილი მოფენელი იყო აბრეშუმით. მირის ცხენის მიერ ფეხდაბიჯებულ ქსოვილებს ქვეშევრდომები და ხალხი ღაშინვე იტაცებდნენ. ამრიგად, მთავარი გზით და სადღესასწაულო წყობით „ბედნიერების სახლში“ მივიდნენ.

მ ი რ მ ა ჰ მ უ დ ი ს მ ი ე რ შ ა ჰ ი ს ჰ ა რ ა მ ხ ა ნ ი ს დ ა კ ა ვ ე ბ ა. შაჰის ჰარამხანა მაშინვე დაიკავეს. ცამეტი უფლისწული და შაჰის ორი ქალიშვილი ადგილზე იყვნენ, დააკავეს. აიყვანეს აგრეთვე დაბალი (რანგის) პირები. აიღეს ძვირფასი ქვები და სხვა ძვირფასი ნივთები, უამრავი სხვა საქონელი და ყველაფერი მირს გადასცეს. მალე ორმა, თუ სამმა დღემ გაიარა. შაჰი მირის სიმამრი გახდა, ის კი — მისი სიძე: წლოვანებით ყველაზე უმცროსი შაჰის ქალიშვილი ხსენებულმა მირმა შეირთო, ხოლო წლოვანებით უფროსი ქალიშვილი თავის შუამავალს, ე. ი. თავის მუფთის შერთო: მირის სარდარი ამანულაჰი შაჰის დაზე დაქორწინდა. შაჰის წულებმა თავიანთ დედათაგან (?) ხუთი სული მხევალი შაჰ ჰუსეინს მისცეს (?). „ბედნიერების სახლის“ სავანეებში შაჰს ადგილი მიუჩინეს და დააბინავეს. შაჰის მხევალთაგან ხსენებულმა მირმა რამდენიმე მხევალი თავისი სამსახურისათვის შეარჩია, ხოლო დანარჩენი თავის თავკაცებს დაუნაწილა. 13 შაჰისწულისათვის „ბედნიერების სახლის“ სავანეებში განსაკუთრებული ადგილი იქნა მიჩნეული. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი არსებობა საბედისწერო ქარს მიეცა. შაჰს კიდევ ჰყავდა ორი ქალიშვილი. ისინი „ბედნიერების სახლში“ არ ცხოვრობდნენ. ერთი მიათხოვა შაჰის ნათესავთაგან ეთემად ად-დოულეს მოადგილეს ალიმს, მეორე — ისევ ნათესავს ვინმე მირზა აბულქერიმად წოდებულს. ისფაჰანის ალების შემდეგ შეიცვალა სახელი, გამოიცვალა ტანსაცმელი, რაღაც საბაბით თავის მეზობლებთან ერთად ისფაჰანიდან გაიქცა და თავრიზში ჩავიდნენ⁸⁸.

⁸⁷ ავღანელები სუნიტები არიან.

⁸⁸ თუმცა წინადადების ერთი ნაწილი მხოლოდითმია, მეორე — მრავლობითში, მაგრამ, როგორც ჩანს, ორივე გაიქცა.

მირი... გზას დაადგა. ამის შემდეგ სპარსელები ხსენებული მირის მიმართ სიბრძნის მეცნიერულ გზას—ფარისეელობის, გადაბირების, მოფიქრებისა და მორიგების გზას დაადგნენ. გამოიჩინეს თავმდაბლობა და კეთილი თავაზიანობა. ყიზილბაშები შერიგების კალაპოტში ჩადგნენ. ეს შეუძლებელი საქმე შესაძლებელი ეგონა (?). შემდეგ, სულ მთლიანად სეფიანთა თავკაცებისადმი განწყობილება და გადახრილობა (?) გამოიჩინა და თითოეული მათგანი მათი რანგების მიხედვით და აგრეთვე მათი დაქვემდებარებულები მტკიცედ დატოვა (თავის ადგილებზე).

მაცნეებმა აცნობეს (ხალხს), რომ ამიერიდან თუ ვინმე სპარსელთა ოჯახის ქონებას და სურსათს ხელს ახლებს, თავს დაეცემა, მას მძიმე სასჯელი და სიკვდილით დასჯა მოელის, თქვეს და ხალხის გარკვეულმა ნაწილმა სიმშვიდე და სიწყნარე იგრძნო, თავიანთ სახლებში მოვიდნენ და დამშვიდდნენ.

რ ი ც ხ ვ ი უ ბ ე დ უ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ... დ ა ხ ო ც ი ლ თ ა დ ა მ კ ვ დ ა რ თ ა. ცნობების მქონე, გამოცდილ გონიერ ადამიანთა ერთსულოვანი აზრი ასე იყო, რომ ამ ბრძოლაში და რვანახევარი თვის ალყაში ომისაგან, შიმშილისაგან და სხვა უბედურებისაგან დაღუპული ადამიანების რიცხვი ასსამოც ათასს აღწევს, დატყვევებულ პირთა რაოდენობა — ასი ათასს უახლოვდება და აქეთ-იქით გაფანტულები კი ასი ათასამდეა. იმ დღეს, როცა ისფაჰანი აიღეს, ქალაქში მყოფი კაცები, ქალები და ბავშვები მხოლოდ 30 ათასს აღწევდა და ეს დადასტურდა დაბეჭითებული გადმოცემებით.

მ ი რ მ ა ჰ მ უ დ ი ს დ ა დ გ ო მ ა ქ ო ნ ე ბ ი ს ა დ ა ს ი მ დ ი დ რ ი ს მ ო ხ ვ ე ჭ ი ს გ ზ ა ზ ე. ამის შემდეგ მირ მაჰმუდს ქონებისა და სიმდიდრის შეგროვებისა და მოხვეჭის დიდი მისწრაფება გაუჩნდა. ქალაქ ისფაჰანის სტუმარ ქალაქელთაგან 4800 ქისა ჯარიმა მოითხოვა და დიდი ნაწილი აიღო; მევლანანიდ წოდებული ინდოელი ვაჭრებისაგან 1080 ქისა ფული აიღო. შაჰ ჰუსეინის მთავარ ექიმ ვინმე ზაქრიმად წოდებულისაგან, რომელიც შაჰის ყურადღების ქვეშ იყო, პატივცემული და შაჰთან სიტყვა რომ გაუდიოდა, სპარსეთის ქვეყანაში სახელოვანი და მდიდარი იყო, მას 800 ქისა ფული მოსთხოვა. ჩაბარების დროს ოქრო, ძვირფასი ქვები და ვერცხლი თავისი სურვილის მიხედვით წონითა და ძვირფას ქვებთან... აღმასის გათანასწორება აირჩია. ჩემი ვარაუდის მიხედვით, ხსენებული პირიდან ნაღდი (ფული), ძვირფასი ქვე-

ბი და ნივთები 4 ათას ქისას აღწევს. ალყის დროს გარდაცვლილთა სახლები დაიკავა, სადაც უამრავი ქონება იპოვა.

როგორ ეპყრობოდა ქრისტიან მეფეთა ელჩებს მირმაჰმუდი. ელჩებს შორის მის პატივისცემასა და მფარველობას საფრანგეთის ელჩმა მიაღწია. რამდენადაც ისთაჰანში მისი ყოფნის ვადა მცირე იყო, ჯერ კიდევ ვაჭრობის ხაზით სხვა ელჩებთან შედარებით ქონება და სიმდიდრე არ შემოსვლია. ამ საბაბით მას მფარველობა გაეწია და ნება დაერთო მხოლოდ საჩუქრების სახით 10 ქისა ფულად ღირებული ნივთები მიეცა. ინგლისის მიერ მიცემულმა ნაღდმა ფულმა და ნივთებმა 500 ქისას მიაღწიეს. პორტუგალიის სასახლის მმართველი, თუმცა მდიდარი იყო, მაგრამ გარეგნულად ჩანდა როგორც საწყალი მღვდელი. რადგანაც ჯერ ეს ვითარება არ იცოდნენ, მისგან არაფერი არ აუღიათ. კოლანდიის ელჩისაგან აღებულმა ნაღდმა ფულმა და ნივთებმა 2440 ქისას მიაღწია, რადგანაც ხსენებული ბაილოსის რამდენიმე მალაზია თავიდან ბოლომდე.... და წინანდელი ვაჭრობიდან დარჩენილი... იყო, ამიტომ ალყის შემორტყმამდე მისი (ერთი) ოყის ფასი 40 ახჩამდე რომ იყო, არ გასაღებულა. ალყის დროს კი მისი ოყა (?) 40 ახჩად გაყიდეს და ქალაქისათვის ეს შეიქმნა სასარგებლო და თვითონაც მრავალი ქონება შეაგროვა. ხსენებულმა მირმა ეს ამბავი გაიგო, ფორმალურად (ვითომც) მფარველობდა ბაილოსს და... ოყას 60 ახჩა ფასი დაადო, ხოლო ზედმეტი კი თვითონ აიღო და მიითვისა.

თაჰმასის ამბავი ისთაჰანიდან გაქცევის შემდეგ და ყაზვინში მისი ჩასვლა. როდესაც შაჰისწული თაჰმას მირზა ალყიდან გაიქცა და ყაზვინში ჩავიდა, ისთაჰანის დასახმარებლად მან ჯარის მომზადება დაიწყო და როგორც ყოველი წელს, ისე იმოქმედა. ჯარის შეკრება ვერ შესძლო და ისთაჰანის აღების წინ ხალხს პატივით არ მოეპყრო (?). როცა ისთაჰანი აიღეს და შაჰ ჰუსეინი დაატყვევეს, გადარჩენილი სპარსელები პატივით მოექცნენ შაჰ თაჰმასს, მორჩილება გამოუცხადეს და ხალხის ერთი ნაწილი მის გარშემო დადგა. მან კიდევ შაჰების წესების შესრულება დაიწყო და უწინ მამამისის ადგილას კაიმაკაჟად რომ იყო რაჰიმ ალი ხანი, ეთემად აღ-დოულედ დანიშნა და მალალ პორტში ელჩობით ჩასული მურთაზა ყული ხანი ყორუჯი ბაშის თანამდებობაზე დანიშნა.

ამბავი მირმაჰმუდის მიერ ხაზინის გაგზავნისა ყანდაჰარის მხარეში ჯარის აღსაწერად.

როდესაც ისტაჰანი აიღეს და დაიკავეს, როგორც ზემოთ ითქვა, მირ მაჰმუდს მრავალი ქონება და ფული დაუგროვდა. დროის ხანგრძლივობისა და მრავალი ბრძოლის მიზეზით ავღანეთი დაზიანდა, მისი ჯარის რაოდენობა შემცირდა. (მან) ხაზინა გაგზავნა და მოისურვა ყანდაჰარიდან ჯარი მოეყვანა. ნაღდი ფული და ნივთები, ავღანელთა სიტყვებით, 6 ათას ქისას აღწევდა. მოინდომა 15 ათასი კაცი ჩამოყვანა. ექვსას ავღანელს მეთაურად გააყოლა თავისი ხაზინადარი მოლა მუსა და გაგზავნა. როდესაც მათ სეისტანის უდაბნოს მიაღწიეს, (ბომბის) ციხის მცველი მირზა ისმაილი ათას ხუთასი კაცით მოულოდნელად თავს დაესხა ავღანელებს და დაამარცხა. ზოგი დახოცეს, ზოგნი გაიქცნენ. ხაზინის დიდი ნაწილი უფლისწულ თაჰმასს გაუგზავნა. თაჰმას მირზა ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამ ამბით რამდენადმე გამოკეთდა მისი მდგომარეობა და ხელი მოიმართა.

მირის მიერ ყაზვინისათვის ალყის შემოსართყმელად ჯარის გაგზავნა. მირ მაჰმუდმა შეიტყო, რომ თაჰმას მირზა გატაცებული იყო შაჰობაზე პრეტენზიით და რომ სპარსელები მას მხარს უჭერდნენ. მან მტკიცე გადაწყვეტილებით ხელში აიღო ეს საქმე და თაჰმასის ამ წადილის მიღწევას თაღლითურად ხელი შეუშალა და გააბათილა. ამ განზრახვის შესასრულებლად რამდენიმე გზა ეძება და მღელვარება განიცადა. შემდეგ შაჰ ჰუსეინს წერილები ანუ ფირმანები დააწერინა, რომლითაც შაჰ ჰუსეინმა შის გარშემო შემოკრებილ ხალხს მოუწოდა, მირ მაჰმუდს დამორჩილებოდნენ, მაგრამ მისი წადილი შედეგიანი ვერ იქნა. მხოლოდ თაჰმასმა ამ საბაბით ითაღლითა, რადგანაც მან ეს ამბავი რომ გაიგო, იფიქრა, რომ ამ საშინელ ცივ ამინდში გამგზავრება არ შეიძლებოდა, ეთემად ად დოულეს ღონისძიებით მთელი ჯარი ყიზლაყებში გაგზავნა და თავის მტერს არ მოერიდა.

მირ მაჰმუდმა კი დიდი სიცივის დადგომა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნია და 7 ათას ავღანელს ამანულაჰ სულთანის სარდრად დაუნიშნა და ნასრულაჰი და აშრაფ სულთანის ბიძა მირ ასადულაჰზადე მასთან ერთად გაგზავნა და მოინდომა გამოეცადა ისტაჰანში მყოფი... სპარსელთა მორჩილების სიმტკიცე და გულმოდგინება. ზოგის შვილი და ზოგის ძმა და ნათესავი ისტაჰანში დატოვა, ხოლო 4 ათასი სპარსელი ავღანელებთან ერთად გაგზავნა. ყველა ისინი მოულოდნელად ისტაჰანიდან აიყარნენ და საშინელ სუსხში ყაზვინისაკენ გაემართნენ. როდესაც ისინი ყაზვინის ახლოს იყვნენ, თაჰმასი გაჯავრდა და სულთანისა და ზინჯანის გზით თავრიზში გაიქცა. ყაზვინში ჯარი არ იყო,

ცარიელი ნახეს და ყაზვინის მოსახლეობა შესახვედრად გამოვიდა. ქალაქი უბრძოლველად გადასცეს. ამანულაჰი, ავღანელთა სარდარი, „ბედნიერების სახლში“ დაბინავდა. ვინაიდან მეტად სუსხიანი და მაგარი ამინდი იყო, ჯარი საქალაქო სახლებში ჩამოარიგეს და დააბინავეს. ათ დღემდე ამ ვითარებაში იყვნენ და დაიწყეს ავღანელთა შევიწროება და მათზე თავდასხმა. დაიწყო უწყესრიგობა, დიდი ბრძოლა და ხოცვა მოაწყეს. სპარსელთა ჯარმა მირის მორჩილებისაგან ჰირი იბრუნა (იმოქმედეს პრინციპით): „ტომი ტომთან ერთად“ და „ბედნიერების სახლს“ თავშეფარებულ აბდულაჰ სარდარს ალყა შემოარტყეს. ბოლოს (მას) ვილაყამ სახლიდან (გასასვლელი) გზა უჩვენა. გამოვიდნენ და დამარცხდნენ. 1600-მდე ავღანელი დახოცეს და ბოლოს ისფაჰანში გაიქცნენ. ამანულაჰ სარდარი ამ ბრძოლაში დაიჭრა. სპარსელთაგანაც ბევრი მოკლეს და დაჭრეს. მირ მაჰმუდის ბიძაშვილი აშრაფ სულთანი, რომელმაც შემთხვევით გასასვლელი ნახა, ორასი ავღანელით ყანდაჰარის გზას დაადგა, გაიქცა და დიდი გაჭირვებით (ყანდაჰარს) მიაღწია.

მირ მაჰმუდმა ეს ამბავი გაიგო. მისი მდგომარეობა მეტად გამწვავებული და ჩახლართული იყო. მან იხანა, რომ თავისი ჯარი მოიშორა და ამ საბაბით ისფაჰანის მოსახლეობის აჯანყების დიდმა შიშმა მოიკცა. ამ ვითარების დასაფარავად მაშინვე ბრძანება გასცა მოეწყოთ ალღუმი, დააკრევიან დაფი და ნალარა და გულითადად ამანულაჰის მოსვლას უცდიდა. ცოტა ხანში გადაარჩენილი ჯარი მოვიდა. დამშვიდდა. ოლონდაც ყიზილბაშებს თავს დაატეხა წარღვნისებური უბედურება (?). ეთემად აღ დოულე მეჰმედ ყული ხანს აპატია, რადგანაც მისმა ძმამ ჰუსეინ ყული ხანმა ყაზვინის შეტაკებაში ავღანელებს გზა უჩვენა და სამშვიდობოს გაიყვანა. მანაც თავისი ძმისადმი ერთგულებით თვითონაც თავი იხსნა. შემდეგ ხსენებულმა მირმა დაიწყო თავკაცების, ემირების, ჯარისკაცებისა და სხვათა ხოცვა. 15 დღის განმავლობაში რვა ათასი ყიზილბაში დახოცა. ყაზვინში ჩადენილი მუხანათობისათვის ისფაჰანში სავსებით დამსახურებულად დაისაჯნენ⁸⁹. ბალდადიდან და მისი მხარიდან ელჩობით გამოგზავნილი ოსმან ალა ამ დროს ისფაჰანში ჩამოვიდა.

ქალაქებისა და სოფლები ასაოხრებლად მთავარსარდრის ნასრულაჰის გაგზავნა. ხსენებული მირი კვლავ შეუდგა გარშემო მდებარე სოფლებისა და

⁸⁹ მირ მაჰმუდის ამ ბარბაროსული მოქმედების საოცარი გამართლებაა ოსების მხრიდან

ქალაქების რბევას და აოხრებას. სარდარი ნასრულაპი სამი ათასი ავღანელით თეირანის მხარეებისაკენ გაგზავნა და ქალაქ რამლინის (?) გარშემო მდებარე სოფლები დაარბიეს და გაძარცვეს... ამის შემდეგ ჰამადანის ხანი უსთუინ ვერდი ხანი სამი ათასი სპარსელით მას წინაღუდგა, დაამარცხა, ციხეში ჩაკეტა. 7—8 დღეს ალყაში ჰყავდა და გაიმარჯვა. ახლო-მახლო ადგილებს დაესხნენ, დაარბიეს, დერგეზინში მივიდნენ. დერგეზინის ხალხი, რადგანაც სულ მთლიანად სუნიტები იყვნენ, არ დაარბია, მაგრამ ისფაჰანის კეთილნაშენობის გამო (?) მისი ხალხი გარეკა და წაიყვანა. იმათაც ხელსაყრელი შემთხვევა რომ ნახეს, გაიქცნენ. ისფაჰანის გზაზე სახელად სუნსარ ქალაქი აიღო და თავისი მმართველი დააყენა. ქაშან ქალაქს ალყა შემოარტყა, დანებებით აიღო და მმართველი დანიშნა. ქალაქი რომ აიღო, ყიზილბაშთა განადგურება მოინდომა და გაიძვერობის გზას დაადგა. ყაზვინის მოსახლეობაზე შური რომ ეძია, ჯარი მოითხოვა, სამი ათასი შეიარაღებული სპარსელი ამოირჩია, ქალაქგარეთ გაიყვანა, მოცვივდნენ ავღანელები და ყველა დახოცეს. შირაზის გზაზე სახელად კომშო ქალაქის მოსახლეობა ჩაიბარა და მმართველი დანიშნა. ხავიზას არაბეთიდან 7—8 ათასი არაბი შეაგროვა. შირაზის გზაზე სახელად იაზუხა დაბის ახლო მათ ხსენებული ნასრულაპი თავს დაესხა და დაამარცხა, მათი მეთაური მირბალირი დაიჭირა და თავი მოჰკვეთა. შირაზიდან შეწყნარების სათხოვრად კაცი მოვიდა და მმართველი ითხოვეს. ქალაქი კუმი რვა (?) ალყით აიღო. გავიგე, როცა ამ მხარეში მოვედი.

მ ი რ ი ს მ ი ე რ ხ ა ზ ი ნ ი ს გ ა გ ზ ა ვ ნ ა ყ ა ნ დ ა ჰ ა რ შ ი
ჯ ა რ ი ს ა ლ ს ა წ ე რ ა დ. შემდეგ უამრავი მგზავრობისა და ომების მიზეზით მირ მაჰმუდის ჯარს საგრძნობლად დაეტყო სიმცირე და ნაკლულება. იგი ჯარის გაძლიერების საგონებელში ჩავარდა. ათას ავღანელს ორასი სომეხი გაურია, მეთაურად ეშიქალასი მეჰმედ ნიშან სატანი დაუნიშნა და (გარკვეული) რაოდენობის ხაზინით ყანდაჰარში გაგზავნა. მათი მშვიდობით ჩასვლის შესახებ ცნობა ისფაჰანში მოვიდა. მაგრამ ჯარი არ მოვიდა, რადგანაც ყანდაჰარში მირ მაჰმუდის მოადგილე დედამისი თუმცა ამ საქმეში ბევრს ეცადა, მაგრამ ყაზვინის დარბევის გამო მირის ამალიდან ყანდაჰარში გაქცეული აშრაფ სულთანი, მირის ხელით მოკლული მირ აბდულაპის შვილი იყო და მირ მაჰმუდის მოწინააღმდეგე, მასზე გაჯავრებული და ცუდი აზრისა იყო. ამდენად მისი ყოველგვარი განზრახულობისა და სიკეთის განადგურების მდომი იყო. ხსენებულმა

ზოიარა ყანდაპარის მთები და ავლანელთა წასვლა მირ მაჰმუდთან აკრძალა და ცნობილია, რომ ამ საქმეში რაც ძალა ჰქონდა, მოიხმარა.

თაჰმას მირზას ამბავი და სპარსელთა თათბირი თავრიზსა და ნახჭევანში. თაჰმასი რომ თავრიზში იყო, შეკრიბა თავისი თავკაცები, ხალხი და ბჭობა გამართეს. მიმართეს უზენაეს სახელმწიფოს⁹⁰ და დახმარება ითხოვეს. მისი ეთემად აღდოულე ბრძნულად მოლაპარაკე არ იყო და (თქვა): ოსმალთა სახელმწიფოს გავუმელავნებთ ჩვენს სუსტ მხარეებს და ჩვენს არეულ-დარეულ მდგომარეობას ვაცნობებთ და (ამაზე) მოსაზრებები წარმოთქვა. ზოგი ამბობდა: ვითომ (თურქეთის) სახელმწიფომ არ იცის ჩვენი მდგომარეობა და ეს დასაბუთება ცარიელი სიტყვები და ჯადოქრობა არისო.

ერთი კაცი ფრანგი იყო (აქ) მოწმის სახით. თაჰმასის მხრიდან წერილები მისწერეს რომის პაპს, რამდენიმე კეისარს და საფრანგეთის მეფეს და იმ ფრანგის მეშვეობით გაგზავნეს. მოსკოვის მეფეს ერთი ვინმე ისმაილ ბეგის სახით ელჩობა გაუგზავნეს. კიდევ ჰაფიზ ბეგის სახელით ერთი ბაილოსი დანიშნეს. მგონია, ამან ვერ მიაღწია (?). მაღალ სახელმწიფოსკენაც⁹¹ გაიგზავნა ბაილოსი.

ამ დროს მოსკოვის ჯარი ბაქოში მივიდა, ალყა შემოარტყა, იბრძოლეს, შეიდი დღის შემდეგ დაიმორჩილეს. ავლანელებმა გაიგეს, რომ რუსის ჯარი გილანში მივიდა. ეს რა ტომიარო—თქვეს და თქვენ უმორჩილეს მონას უამრავი ცნობები გამოჰკითხეს და მათზე ნაწყენები დარჩნენ.

ოსმალეთის მიერ თბილისის აღება რომ გაიგეს, შეშინდნენ და ეწყინათ. ამ ტომის ადათის მიხედვით ესენი თავიანთ საქმეებს, მიზნებს და მგზავრებს მეტისმეტად ფარავენ და მალავენ. დაფარვაში, სისწრაფეში, სიჩქარესა და მძიმე მდგომარეობის დროს ცოთმინებაში სპარსელებს სჯობნიან.

ხანგრძლივი და გაქიანურებული ალყის სიძნელემ, მდგომარეობის ათასნაირად შეცვლამ, საზარელი და საშინელი ამბების შიშმა და მღელვარებამ, აგრეთვე აღწერილ მძიმე ამბებზე ფიქრმა და ზრუნვამ, ძალიან იმქმედა თქვენს უმორჩილეს მონაზე. 1135 წლის

⁹⁰ იგულისხმება თურქეთი.

⁹¹ იგულისხმება თურქეთი.

ზილპიჯეს თვის უკანასკნელ დღეს⁹² ისფაჰანიდან გავიქეცი და ხო-
იშანს რომ ჩამოვედი, მე შემხვდნენ ყიზილბაში ყაჩაღები, ორ ად-
გილას დამჭრეს და რვა ქისას რომ მიაღწევს, იმდენი ღირებულე-
ბის ნივთები და ნაღდი ფული წამართვეს და შიშველი დამტოვეს.
ჩემი მსახურები უკან გაიქცნენ. დიდი წვალეებით ჰამადანში წავე-
დი. ციხე შეეკეტებინათ და ახლა იგი სავსებით მოთავებული იყო.
შემდეგ ერთ კირიშელ (?) სომეხ ვაჭარს დავუთანამგზავრდი და
ყაზვინში ჩავედი. ყაზვინის ხალხი ყველა შეიარაღებულია და მო-
მზადებულია თავდასაცავად. იქიდან გილანს ჩავედი, რეშტად წო-
დებულ ქალაქში მოსკოვის ოფიცერთან მივედი, ვითარება გავაცა-
ნი. ვაჭრის ხარჯი გაიღო, რვა ოქრო გზის ხარჯი მომცა, აქ ნუ დარ-
ჩებიო და მრავალი წინადადება მომცა. მაგრამ გილანის ჰავა ძალი-
ან მძიმე იყო, ის მოსკოველებმაც ვერ აიტანეს, ბევრი ხალხი გაუ-
წყვიტა მათ.

გილანიდან, თეთრ სახლებს რომ ეძახიან, ისეთი კარგი სანა-
ხობიანი ადგილები გავიარე და არდებილში ჩავედი. იქიდან ყარა-
დაღში მივედი და ქალაქ არეშით უზზობაში გადავედი. იქიდან ნახ-
ჭევანში მივედი. თაჰმასიცი თავრიზიდან ნახჭევანში ჩამოსულიყო.
იქ მან მურთაზა ყული ხანი მოკლა. მისი აღმატებულება აბღულა-
ჰი ფაშიდან თაჰმასთან მოსულიყო. გზები სულ ყველა გადაკეტილი
იყო და ამიტომ ეგლისიად წოდებულ სომხურ სოფელში გავჩერ-
დი. როცა ერევანი და ნახჭევანი ოსმალეთის მიერ იქნა აღებული
(?), გზებიც გაკეთდა; ქარავანთან არზრუმში (წავედი), იქიდან თო-
კათის გზით სტამბოლში და საფრანგეთის ელჩთან მივედი. დიდი
პატივისცემით, ბრძანება და ფირმანი, სიკეთე და წყალობა ღვთი-
საა, ბრძანება თქვენი.

სეფიანთა დინასტიის, ე. ი. სპარსელი შაჰების სამფლობელო-
ში შემავალი და ერთ ხანს მათ მმართველობაში მყოფი სპარსეთის
მხარეები და მასში გაერთიანებული ადგილები შემდეგია: ხორას-
ნის ქვეყანა, ყანდაჰარი, სეისტანი, ბაზილისტანი, ჰუქუმბხანი, ქირ-
მანი, ყარსი, ხუზისტანი, ლორისტანი, სპარსეთის ერაყი, რომელსაც
მთიან მხარესაც ეძახიან, მაზანდარანი, გილანი, აზერბაიჯანი, ერე-
ვანი, შირვანი, საქართველო, დაღესტანი და ბაჰრეინის კუნძული.

თითოეული ეს მხარე სპარსული კანონის მიხედვით ცნობილ

⁹² ქრისტესით 1723 წლის I ოქტომბერს. მაგრამ ეს თარიღი დაზუსტებას მოი-
თხოვს: 1723 წლის მარტში ისფაჰანიდან ჰამადინისაკენ წასული იოსები ავღანე-
ლებმა თუ ყიზილბაშებმა დაჭრეს; იმავე წლის 28 ივლისს იგი რეშტშია სარგის გი-
ლანენცთან. როგორც ვხედავთ, იოსები აქაც არაა ზუსტი.

მხარედ ითვლება და რადგანაც ზოგი მათგანი ვრცელია და მრავალი კეთილნამშენობანი აქვს, რამდენიმე ვილაიეთად არის დაყოფილი. თითოეულ მათგანში ვალი იყო დანიშნული და ასე მართავენ. ყველა მათი მდგომარეობა (?). ამ წლებში სპარსეთში მომხდარი ამბების გამო თუ როგორ მოხდა სპარსელ შაჰთა სამფლობელოდან ჩამოგლეჯა და ჩამოშორება, ეს ჩანს, ცხადია, აქ მონათხრობის შინაარსიდან. ოღონდ მიქრანის (?) ქვეყნის მიერ ამ დიდი ჭიდილის დროს ისფაჰანისათვის ერთგვარი დახმარების გაწვევისათვის დიდი სურვილის გამომქლავება მგონია იმიტომ იყო, რომ დასარბევი ქირმანის მხარეებში მომიჯნავედ იყო, ისფაჰანიდან კი შორს.

ასევე ამბავი გაიგეს, რომ გილანიდან და მაზანდერანიდან შაჰის დასახმარებლად და საშველად ჯარი და ვალი მოვიდა. რადგანაც გარდა იმისა, რომ ზაბილისტანი ყანდაჰარის მომიჯნავეა, ის სეისტანთან მიერთებულია. სეისტანის ხანი შაჰს რომ აუჯანყდა და მირ მაჰმუდის მოკავშირეობით მეშხედი რომ დაიპყრო — ეს ზემოთ აღწერილი იყო. დანარჩენი, სპარსეთის ერაყი, აზერბაიჯანი, ერევანი, შირვანი, საქართველო და დაღისტანის მდგომარეობა და შაჰის დასახმარებლად მოსული ვეჟილი... (?) ამბავი მოთხრობილის შინაარსიდან და სხვა რამეებიდანაც ჩანს. აგრეთვე მირ მაჰმუდის ამბები და მისი ჯარის ვითარება და რაოდენობა ცნობილია და მოთხრობილი.

ზე მწირი ისფაჰანიდან რომ გმოვედი და ამ მხარისაკენ ჩემი მგზავრობის დროს მირ ვეისის ძე მირ მაჰმუდთან მყოფი ავლანთა ჯარი მხოლოდ რვა ათასი ან იქნებოდა ან არა, ის კი არა, მას აღეწერა სომეხთაგან ორი ათასი, მახუსებიდან (?) ორი ათასი, სპარსელთაგან კი ხუთი, ექვსი ათასი კაცი. ვინაიდან ავლანელთა უმრავლესობას ხელში ჩაეგდო ქონება და სიმდიდრე, ისინიც ძალიან მიისწრაფოდნენ სამშობლოში და უკან დაბრუნების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი.

მინაწერები ხელნაწერის გვერდებზე: გვ. 48: „ჯარის მომზადება ალყის შემოსართმელად“.

გვ. 70: „უწინ ჰამადანის ხანის ფარზულაჰ ხანის ძმა. ჰამადანში ავლანელთა თავდასხმის დროს რადგანაც დამარცხდა, ფარზულაჰს ენა მოსჭრეს; კათანისტანის სომხები აჯანყების დანაშაულის გამო ყარადაღის ბეგმა ფათ ალი სულთანმა... კათანისტანის სომხებს ნახჭევანის ხანის, მოსკოველის (?), წაქეზებით ხოცვა-ჟლეტა მოუწყო...“.

ასეთია იოსებ ქართველის ამ თხზულების შინაარსი. როგორც თარგმანიდანაც ჩანს, ტექსტი მეტად რთული და ბუნდოვანი აღმოჩნდა. იგი გადატვირთულია არაბული სიტყვებით. ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა ან აზრის გაგება შეუძლებელი გახდა. ამოუკითხავი ადგილები შეცვლილია მრავალწერტილით, გაუგებარი ადგილები — კითხვის ნიშნით, ესა თუ ის სავარაუდო სიტყვა კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ხელნაწერი ტექსტი შედგება 72 გვერდისაგან. თავიდან ბოლომდე მას არა აქვს არც ერთი სასვენი ნიშანი, არც ცალკე სათაურები, არც აბზაცები. თხრობისას მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვები ერთმანეთშია არეული; ზოგჯერ წინადადების ერთი ნაწილი მხოლოდობითშია გადმოცემული, ხოლო მეორე — მრავლობითში. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები.

იოსებ ქართველისათვის საერთოდ (ეს შეეხება მის ფრანგულ ენაზე შედგენილ „მოგონებასაც“) დამახასიათებელია რთული და ბუნდოვანი წინადადებები. ალბათ, ეს იმითაა გამოწვეული, რომ მისთვის არც თურქულია⁹³ და არც ფრანგული დედაენა. იგი ხშირად მიმართავს გაზეპირებულ ფრაზებს, იდიომებს, სინონიმებს.

ნათქვამის დასადასტურებლად იოსების „მოგონებიდან“ მოვიტანთ რამდენიმე ფრანგულ გამოთქმას (იდიომს): *se jetta tette baissé* — თავდაყირა დაეშვა; *cedant à la force* — ძალას დაემორჩილა; *forcer la porte de* — შეიჭრა; *tailier en pieces* — ნაკუნააკუნად ქცევა *san coup férir* — უბრძოლველად; *reduire par famine* — შიმშილით დამორჩილება; *des provisions de bouche* — სურსათი; *done de la jalousie à* — შურს იწვევს; *faire main basse* — უყურადღებოდ მიტოვება, გაძარცვა; *passer au fil de l'épée* — ხმლით აკუნჭა და სხვ.

საერთოდ, იოსების ფრანგული ენა (მგონია, იგივე ითქმის მის თურქულზეც) ღარიბია. ერთი და იგივე ფრაზებს, გამოთქმებს ხშირად იმეორებს.

ამასთანვე, იოსებ ქართველი ბევრ ადგილას არ არის ზუსტი და მასზე დაყდნობა არ შეიძლება. აშკარად ეტყობა, რომ არ იცის არც საქართველოს და არც სპარსეთის ისტორია. თავის თხზულე-

⁹³ იმ პერიოდში სპარსეთის სამეფო კარის ენა თურქული იყო.

ბებში იგი ძირითადად მესამე პირის მონათხრობს ეყრდნობა და, ვინ იცის, ამბების ეს მომყოლი რამდენად ინფორმირებული ან რა განათლების პატრონი იყო. ამდენად, 1718 წლამდე ამბების იოსებისეული აღწერა ზერელეა, არაზუსტი; ყოველგვარი ქრონოლოგიის დაცვის გარეშე მოთხრობილია ამბები. იგი არასოდეს ეყრდნობა რაიმე წყაროს ან რომელიმე ავტორს.

განა შეიძლება თადეუშ კრუსინსკისთან იოსების შედარება? თადეუშ კრუსინსკიმ შესანიშნავად იცის საქართველო-სპარსეთის ურთიერთობები, საქართველოსა და სპარსეთის ისტორია. როცა იგი ქართველებს და საქართველოს ეხება, იყენებს პეროდოტეს, პლინიუსის, ვიტრიაკის, ბარონიუსის, რუფინუსის, სოზომენოს, კასიოდორეს, სილოსის, არქანჯელო ლამბერტის და სხვ. ნაშრომებს. იცნობს ქართველი მეფეების ურთიერთობას ევროპასთან (თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპ ურბან VIII-სთან ელჩად პიეტრო ავიტაბილეს გაგზავნა, საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის წერილი ვახტანგ VI-სადმი და სხვ.). თ. კრუსინსკის თავის წიგნში ერთ ადგილას ლათინური ასოებით ქართული ციტატიც კი მოაქვს.

ჩემი აზრით, საფრანგეთის კონსულ დე გარდანთან ერთად იოსებ ქართველს თარჯიმანის სახით შაჰის კარზე არცერთ მოლაპარაკებაში არ მიუღია მონაწილეობა. ასეთი საქმეებისათვის დე გარდანს, ალბათ, სხვა თარჯიმანი ჰყავდა. იოსებს რომელიმე მოლაპარაკებაში მონაწილეობა რომ მიეღო, ამაზე იგი აუცილებლად დაწერდა თავის თხზულებებში. უფრო მეტიც, იოსებ ქართველი არ იცნობს საფრანგეთ-სპარსეთის 1708 და 1715 წლების შეთანხმებებს და ამრიგად, იგი არ არის იმ საქმის კურსში, თუ რა მიზნით არიან სპარსეთში ჩასული საფრანგეთის კონსულები — დე გარდანი და პადერი. ალბათ, არც დე გარდანი შეიყვანდა მას საფრანგეთის სახელმწიფო საქმეების კურსში. უბრალოდ, არ ენდობოდა კონსტანტინოპოლში შემთხვევით თარჯიმნად აყვანილ ამ პიროვნებას, რომელიც, ამასთანავე, თურქეთის ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული.

გაუგებარია ისტაპანიდან იოსების წასვლის თუ გაქცევის მიზეზი. თვითონ ამის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს იმისა და მიხედვით, თუ ვისთან როგორ დასჭირდება. ჩვენი აზრით კი, იგი ან დე გარდანისათვის მიუღებელი პიროვნება გახდა (შემდგომში, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი დ'ანდრეზელი ხომ იმარ-

თლებდა თავს თავისი უფროსის წინაშე: იოსებთან მე არაფერი მითქვამს ისეთი, რაც მას თავის სასარგებლოდ შეეძლო გამოეყენებინაო, ან იოსების პიროვნება საკმაოდ კომპრომიტირებული გახდა ისტაჰანში, ავღანელებმა მასზე ექვი მიიტანეს (იოსები თურქეთის ელჩს ორჯერ შეხვდა საიდუმლოდ, მაგრამ ეს ავღანელებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ. შემდეგ, თურქეთის ელჩი ჰამადანში რომ წავიდა, იოსებიც იქითკენ გაემგზავრა და სხვ.) და მას უკვე ისტაჰანში აღარ დაედგომებოდა.

იოსები ყოველთვის არ არის ზუსტი და ახასიათებს ტენდენციურობაც. მის მიერ მოთხრობილი ამბები არეულია ერთმანეთში. გიორგი XI-ისა (გურგინ ხანი) და როსტომის (ვახტანგ VI-ის ძმა) იოსებისეული დახასიათება ტენდენციურია. საფუძველს მოკლებულია შაჰ ჰუსეინისა და სპარსეთის ეთემად აღდოულეს პიროვნებების, მირ მაჰმუდის მიერ ისტაჰანის უდანაშაულო დიდებულთა (მათ შორის ბავშვების) გაყლეთის იოსებისეული შეფასება: პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის მოქმედებათა „თაღლითობად“ ჩათვლა და სხვ.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მთელ რიგ მნიშვნელოვან ამბებზე, რომლებიც იმ პერიოდში სპარსეთში მოხდა და თავისი ასახვა ვერ ვპოვა იოსების თხზულებებში, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნოთ: იოსები არაფერს ამბობს ქართველების (გიორგი, ლევანი, ჭაიხოსრო, როსტომი, ვახტანგი და სხვ.) როლზე სპარსეთის იმპერიაში. და თუ მათ სადმე ახსენებს, მხოლოდ უარყოფითად, მაშინ. როდესაც სხვა ავტორები (თ. კრუსინსკი, ჯ. ჰანვეი, ვ. ალენი, დ. ლენგი და სხვ.) მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველების მოღვაწეობას სპარსეთის იმპერიაში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ცხოვრების სფეროში.

ვახტანგის გამაჰმადიანების შემდეგ შაჰ ჰუსეინმა მას თავრიზის პროვინციის მმართველობა, სპარსეთის ჯარის მთავარსარდლობა და ქართლის მეფობა უბოძა. ვახტანგმა მისთვის ჩვეული ენერგიით ხელი მოჰკიდა სპარსეთის ლაშქრის მომზადებას, მაგრამ როცა იგი ამ საქმით იყო გართული და სათანადო შედეგებიც ჰქონდა, იგი გაათავისუფლეს სპარსეთის ჯარის მთავარსარდლობიდან. რატომ? ანტიქართულმა ჯგუფმა, რომელსაც ავღანელების წინაშე დამარცხება ერჩია ომში ქართველის გამარჯვებას, ვახტანგი დაასმინეს შაჰთან. უნიჭო და ეჭვიანმა შაჰ ჰუსეინმა ყველაფერი დაიჭერა. ვინ იყვნენ ასეთი ინტრიგების მეთაურები? შაჰის მთავარი ეჭმი,

საჭურისები და სხვ. თადეუშ კრუსინსკი წერს მათ მიერ „შეთხზულ სისულელეებზე ვახტანგის წინააღმდეგ“, ინტრიგებზე „რუსეთის ელჩის თავად ვოლინსკის ბრწყინვალე ელჩობის“ მიმართ და სხვ. სად იყო იოსებ ქართველი ამ დროს? ნუ თუ მას არაფერი ესმოდა ამ ამბების შესახებ?